სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 13 ივლისი 2006 №159 (2781) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბადრი ქუთელაძის ფოტო

ვშარან დოლელიანაშვილის ფოტო

ამერი

ჯარგი იყო თასი და მაისი. როგორი იქნება ივლისი და ბანანცი

13 მაისი: „ამერი“ „მიხეილ მესხზე“ ამარცხებს „ზესტაფონს“ და საქართველოს თასს ეუფლება.

13 ივლისი: „ამერი“ „მიხეილ მესხზე“ ისტორიაში პირველ საევროტურნირო მატჩს ატარებს სომხურ „ბანანცთან“ და... და რა მოხდება, ამას საღამოს გავიგებთ — იმედია, გლდანელები სათასო ტრიუმფიდან ორი თვის თავზე კვლავაც მოიგებენ. გიორგი ჩიხრაძის გუნდი საღსალამათი, უტრავმებოდ ხვდება „ბანანცთან“ მატჩს. იმ „ბანანცთან“, რომელმაც შარშანდელ უეფას თასზე თბილისის „ლოკომოტივი“ გაამწარა.

ერევნელთა თავკაცი ნიკოლაი კისელიოვი მშვიდადაა, მინიმალურად რომც წავაგოთ, რატომ არ შეიძლება, შემდეგ ეტაპზე გავიდეთო. ჩიხრაძემ კი აღნიშნა — ჩვენ ხვალ ძალების მაქსიმუმს ვერ ვაჩვენებთ, რადგან სეზონის პირველ ოფიციალურ მატჩს ვთამაშობთ, თუმცა მხოლოდ მოგებაზე ვფიქრობთო...

დღესვე „ვიტ ჯორჯიას“ მოელის მძიმე ბრძოლა ბრატისლავაში — ნესტორ მუმლაძის გუნდი იმ „არტმედიას“ სტუმრობს, რომელმაც შარშან მთელ ევროპას გააცნო თავი ჩემპიონთა ლიგაში ჯიგრიანი თამაშით. თუმცა სეზონის დასრულების შემდეგ „არტმედია“ ბევრმა ფეხბურთელმა დატოვა და ვინ იცის, ვიტელები უშანსოდ არ იყვნენ.

ვნახოთ, როგორ გახსნიან „ამერი“ და „ვიტ ჯორჯია“ საუეფასთასო სეზონს...

ბადრი ქუთელაძის ფოტო



ვშარან დოლელიანაშვილის ფოტო

დიდი ბოდიში პატარებს

ზიდანი მატერაციის არ ნანობს



ზინედინ ზიდანმა „კანალ პლუს“-თან ინტერვიუში გუშინ თქვა: „ყველა ბავშვს, ვინც ჩემი საქციელი ნახა, ვთხოვ, დაივიწყოს ის ეპიზოდი. ბოდიშს ვუხდი მათ, რადგან ეს არ იყო სამაგალითო“.

კითხვაზე, თუ რა უთხრა მატერაციმ, ზიდანმა უპასუხა: „დედაჩემი და ჩემი და ახსენა, მაგრამ ვერ დავაკონკრეტებ. ერთხელ შეიძლება მოითმინო და ყურადღება არ მიაქციო. მეც ამას ვაპირებდი, რადგან კარიერაში ბოლო მატჩს ვთამაშობდი, მაგრამ ორჯერ და სამჯერ რომ გაიმეორა...“

ერთ-ერთი ვერსიით, მატერაციმ ზიდანის ოჯახს ტერორისტები უწოდა, მაგრამ იტალიელი ამბობს: „პოლიტიკაზე, რელიგიაზე და კანის ფერზე არაფერი მითქვამს. არც დედამისი მიხსენებია. თავად 15 წლისა, ვიყავი დედა რომ გარდამეცვალა და ისე არაფერი მტკენს გულს, როგორც მასზე საუბარი. გავიგე, რომ ზიდანის დედა ჰოსპიტალში ყოფილა და გამოჯანმრთელებას ვუსურვებ. ზიზუ ყოველთვის ჩემი კერპი იყო და უდიდეს პატივს ვცემ“.

ხოლო ფრანგმა განაცხადა: „ბოდიშს ვუხდი ქომაგებს იმისთვის, რაც მოხდა, მაგრამ მატერაციისთან საბოდიშო არაფერი მაქვს. არ ვნანობ, რაც ჩავიდინე. მატერაციის არ ჰქონდა მიზეზი იმის სათქმელად, რაც თქვა. მე მხოლოდ ვთხოვე, ჩემს მაისურას ნუ ქაჩავ, თამაშის შემდეგ თუ გინდა მოგცემ-მეთქი. სწორედ ამის მერე გამლანძღა უსაზიზღრესი სიტყვებით, და ეს სიტყვები რამდენჯერმე გაიმეორა. ზოგჯერ სიტყვა უფრო მჭრელია, ვიდრე დანა. თავი ვეღარ შევიკავე და ყველაფერი სწრაფად და მოულოდნელად მოხდა. ნამდვილი დამნაშავე უნდა დაისაჯოს, დამნაშავე კი სწორედ მარკო მატერაცია. აბა დაფიქრდით, ჩემი ბოლო მატჩის დამთავრებას ათი წუთი აკლდა და ასეთ დროს სისულელეს ჩავიდენდი, ამის აუცილებლობა რომ არ ყოფილიყო?“

მისია შესრულებულია

ლიპიმ თქვა: ბასტა! კლინსმანმა: ლიოვი





იტალია მსოფლიოს ჩემპიონობას ზეიმობს, მარჩელო ლიპიმ კი ქუდი დაიხურა და წავიდა. ცხადია, ეხვეწებოდნენ, დარჩიო, მაგრამ ლიპიმ თქვა: „მისია შესრულებულია“ და იტალიის ფეხბურთის ფედერაციას თავსატეხი გაუჩინა. ვინ შეცვლის მაესტროს? ჯერჯერობით კანდიდატი ოთხია: „ალბერტო ძაკერონი, ჯანლუკა ვიალი, რობერტო დონადონი და კლაუდიო ჯენტილე.

ხოლო გერმანიის ნაკრებს უკვე ახალი მწვრთნელი ჰყავს: იოახიმ ლიოვი, იურგენ კლინსმანის თანაშემწე. კლინსმანმა განაცხადა: „იმდენი ენერგია დავხარჯე, რომ გადავიწვი და ამ საქმის გაგრძელებას ვეღარ შევძლებ. ოჯახთან ყოფნა და დასვენება მინდა“. კიდევ რა ხდება მსოფლიო ფეხბურთში? ფიფამ საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციას დისკვალიფიკაცია მოუხსნა, რაკი მთავრობამ ფიფელებისთვის მოულებელი კანონი დახია და ახალი დაწერა.

ამასობაში კი სერბეთი, როგორც ცალკე ქვეყანა, ოფიციალურად გახდა უეფას წევრი მას შემდეგ, რაც ჩერნიგორიამ სერბეთთან თანაცხოვრება აღარ ისურვა.

ერთი სული გვაქვს, მალე მოვიდეს...

ამერი ბანანცს საღსალამათი ხვდება

გიორგი ჩიხრაძე და ლევან აბაშიძე

გიორგი დავითნიძე

ბადრი ჯეიელაძის ფოტოები

ოთხი წლის „ამერი" დღეს საკუთარ სტადიონზე არ ითამაშებს, მაგრამ ისტორიულ შეხვედრას იღბლიან სარბიელზე ხვდება — სწორედ „მიხეილ მესხზე" 13 მაისს მოგებული თასით გავიდა გიორგი ჩიხრაძის გუნდი უეფას თასზე და დღეს გლდანელები სომხურ „ბანანცს" უმასპინძლებენ ვაკეში.

„ამერმა" მატჩისწინა ბოლო ვარჯიში გლდანში ჩაატარა, მანამდე კი გუნდის თავკაცმა გიორგი ჩიხრაძემ, მეკარეების მწვრთნელმა ლევან აბაშიძემ და კაპიტანმა გიორგი დავითნიძემ პრესკონფერენციაზე მიგვიწვიეს

გიორგი ჩიხრაძე: მოსამზადებელი პერიოდი ნაყოფიერად ჩავატარეთ. გეცოდინებათ, შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მოგვიხდენია და ფაქტობრივად იმ გუნდით დავუპირისპირდებით „ბანანცს", რომლითაც წინა სეზონი ჩავატარეთ. დავიმატეთ გამოცდილი იური გაბისკირია „ბორჯომიდან", ახალგაზრდა მეკარე ლევან ბუბუტეიშვილი „თბილისის" ფარმ-კლუბიდან და გიზო ჯელაძე, რომელიც ჩვენი ფეხბურთელი იყო და განათხოვრებით გახლდათ „ბათუმში".

...ბიჭებს განსაკუთრებულ მონდომებას ვატყობ, გუნდში კარგი ფსიქოლოგიური ფონია. სამწუხაროდ, ჩეხურ შეკრებაზე დაგეგმილი ექვსი მატჩის ნაცვლად სამი ვითამაშეთ. ვერ ვიტყვი, რომ „ამერი" ხვალ თავისი ძალების მაქსიმუმს აჩვენებს, რადგან ეს მაინც სეზონის პირველი ოფიციალური მატჩია, მაგრამ მოსაგებად გავდივართ მინდორზე და თანაც სასურველი ანგარიშით უნდა გავიმარჯვოთ. ძალიან გვჭირდება მაყურებელთა მხარდაჭერაც. საბედნიეროდ, გუნდში ტრავმები არაა.

...„ბანანცის" ორი მატჩის ვიდეოფირი ვნახეთ. ასევე ვუყურეთ შარშანდელ „ლოკომოტივ" — „ბანანცს", თუმცა მას შემდეგ მათი შემადგენლობა მნიშვნელოვნად შეიცვალა. სომხებს ტექნიკური გუნდი ჰყავთ, ბურთს კარგად აკონტროლებენ. რა თქმა უნდა, სუსტი მხარეებიც აქვთ და ეს უნდა გამოვიყენოთ. „ბანანცის" ორი ფეხბურთელი სომხეთის ეროვნულ ნაკრებშია, ორიც — ახალგაზრდულში, დანარჩენს კი მინდორზე ვნახავთ".

ლევან აბაშიძემ „ამერის" მეკარეების მდგომარეობა მოკლედ შეაფასა: „ზურაბ ქვაჩახიას ყველანი კარგად იცნობთ, ის ხომ თასის ფინალის გმირი გახლდათ. ლადო ნადირაშვილმა გასული სეზონის ბოლოს ტრავმა მიიღო, რის გამოც თამაშები გამოტოვა, მაგრამ ახლა სრული დატვირთვით ვარჯიშობს. პერსპექტიული ბიჭია ახალწვეული ლევან ბუბუტეიშვილიც, მისი შეძენით კმაყოფილები ვართ".

გიორგი დავითნიძე: „შეკრების პირველი დღიდანვე ყველა ფეხბურთელს ეტყობოდა მონდომება. ერთი სული გვაქვს, როდის მოვა ხვალინდელი დღე — „ამერმა" მოგებით უნდა დაიწყოს თავისი პირველი რაუნდი ევროთასების ისტორიაში. იმედია, ამას შეეძლებთ".

ილია ნანოგაშვილი

ბანანცმა პასპორტები მოაგვარა: ერთის გარდა ყველა აქაა



ბადრი ჯეიელაძის ფოტო

„ბანანცი" ის გუნდია, შარშან ზაფხულს „ლოკომოტივი" რომ შეარცხვინა — შინ წაგებული 2:3 თბილისში „შეკვეთილი" 2:0-ით მოატრიალა. და მაინც, სომხეთის მიმდინარე ჩემპიონატში მესამე ადგილზე მყოფი „ბანანცი" „ამერისთვის" აუღებელი ციხესიმაგრე არ უნდა იყოს.

„ბანანცმა" გუშინ 19 საათზე წაივარჯიშა „მიხეილ მესხზე", მერე კი მათმა თავკაცმა ნიკოლაი კისელიოვმა ჟურნალისტებისთვისაც მოიცალა. კისელიოვი მოსკოვის „სპარტაკის" ნახევარმცველი გახლდათ და საბჭოეთის კვალობაზე არცთუ ურიგო ფეხბურთელად ითვლებოდა. ბოლო პერიოდში კი იმავ „სპარტაკის", „ორიოლის" და „სატურნის" დუბლების მწვრთნელად მუშაობდა

— „ამერთან" მატჩისთვის ჩვეულებრივი რეჟიმით ვემზადებით. არც რაიმე შეკრება და რაიმე განსაკუთრებული...

— შარშანდლის შემდეგ „ბანანცის" შემადგენლობა რამდენად შეიცვალა?

— 50 პროცენტით. ახალგაზრდები მოვიდნენ. გეცოდინებათ, ხუთი უკრაინელი და ერთი სერბი ლეგიონერი გვყავს, მეკარე ნენად რადაჩა.

— „ამერს" რამდენად კარგად იცნობთ, თამაშები გინახავთ?

— ვიდეოფირზე ვნახე. ნორმალური, გამართული გუნდია, მეტი რა ვთქვა...

— როგორც ვიცით, „ბანანცის" რამდენიმე ფეხბურთელს საპასპორტო პრობლემები ჰქონდა და შესაძლო იყო, ვერ ჩამოსულიყვნენ თბილისში...

— ერთი ფეხბურთელის გარდა ყველა აქაა.

— მთლიანად სომხური საკლუბო ფეხბურთის დონე ვითარდება თუ პირიქით?

— ძალიან ნელა ვითარდება. პრობლემა უფულობა და კვალიფიციური მწვრთნელების ნაკლებობაა. ფეხბურთელებიც სადღა არიან... ადრე სომხებს და განსაკუთრებით ქართველებს ასარჩევად ჰქონდათ საქმე, ახლა კი პირიქით.



„ბანანცის" სერბი მეკარე ნენად რადაჩა

ბადრი ჯეიელაძის ფოტო

— როგორც სტუმარი, „ბანანცი" ხვალ დაცვიდან ითამაშებს?

— მე შემტევი ფეხბურთი მიყვარს, მაგრამ გააჩნია, რამდენად შევძლებთ ან როგორ წარიმართება სცენარი.

— ფრე თუ იქნება თქვენთვის მისაღები?

— შეიძლება, მინიმალურად წავაგოთ და მაინც გავიდეთ. ასეც ხომ ხდება?!

ილია ნანოგაშვილი

უეფას თასი
I საკვალიფიკაციო ეტაპი
პირველი მატჩი

მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი

13 ივლისი

ამერი — ბანანცი

თბილისი ერევანი

დასაწყისი 20 საათზე. ბილეთის ფასი 2 ლარი

ჩემპიონთა ლიგა 2006-2007

CHAMPIONS LEAGUE

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

მიუპა (ფინეთი) 1:0 ლანსანტფრეიდი (უელსი)
მეტალურგსი (ლატვია) 1:0 აკტობე (ყაზახეთი)
შახტიორი (ბელარუსი) 0:1 შიროკი ბრიგბი (ბოსნია)
კორკ სიტი (ირლანდია) 1:0 აპოლონი (კვიპროსი)

ნორვეგია

ტიპელიგა. გადადებული მატჩი
ლილესტრომი 2:2 ოდ გრენლანდი

თასის მეორე ეტაპი

ბრინი 3:1 სტრომსგოდსეტი
სანდეფიორდი 3:2 სკეიდი
სტაბეკი 2:2(პენ.3:4) *სოგნდალი*

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XII ტური
ლაჰტი 0:2 ტამპერე

იაპონია

ჯეი ლიგა. XII ტური
გამბა 2:2 ივატა

საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ „დინამოს" გამგეობის თავმჯდომარე გოჩა ძასოხოვი, ირაკლი მეძმარიაშვილი და ამავე კლუბის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ თბილისის „დინამოს" ყოფილ ფეხბურთელს გოჩა მაჩაიძეს შვილის გარდაცვალების გამო

არტმედია ყველამ იცის

ვიტ ჯორჯიას ჩემპიონთა ლიგის არ ეშინია

„ვიცით, რა დონის გუნდთან გვიწევს თამაში, მაგრამ უიმედოდ არ ვართ. „არტმედიაზე“ ყველა ინფორმაციას ვფლობთ და 99 პროცენტით ვიცით, როგორი ძირითადი შემადგენლობა ეყოლებათ ჩვენთან. მათმა მწვრთნელმა ბოლო ორი მატჩი სხვადასხვა ტაქტიკური სქემით, 4-5-1 და 4-4-2-ით ითამაშა და, სავარაუდოდ, სწორედ ორ თავდამსხმელს დააყენებს ჩვენთანაც“ — გვითხრა „ვიტ ჯორჯიას“ მწვრთნელმა ზურაბ ბერიძემ



ზურაბ ბერიძისა ალბომიდან ფოტო

ეს მატჩი დღეს იქნება ბრატისლავაში: წინა სეზონში ჩემპიონთა ლიგაგამოვლილი და ქვეყნის ჩემპიონატში მეორეადგილოსანი „არტმედია“ „ვიტ ჯორჯიას“ უმასპინძლებს საუეფასთასოდ და, ცხადია, ფავორიტებად სლოვაკები ითვლებიან. ვიტელები გუშინწინ, შუაღამისას გაფრინდნენ ბრატისლავაში, გუშინ კი ერთი ვარჯიში ჩაატარეს.

ზურაბ ბერიძის ცნობით, „ვიტ ჯორჯიას“ ყველა ფეხბურთელი მწყობრში ჰყავს. „არტმედიაზე“ კი კიდევ იმას ვიტყვით, რომ გასული სეზონის შემდეგ გუნდი რამდენიმე ლიდერმა დატოვა, სამაგიეროდ, შეიძინეს ვეტერანი ლუბოშ კოზაკი, რომელიც სლოვაკური მასშტაბით საკმაოდ ცნობილი მოთამაშეა. ზოგადად, „არტმედია“ საკმაოდ გამართულად თამაშობს, ჰყავს როგორც ათლეტური აღნაგობის, ასევე ბურთის გამგორებელი, ტექნიკური ფეხბურთელები.

ბოლოს კი იმ 18 მოთამაშეზე, რომლებიც ვიტელთა თავკაცმა ნესტორ მუმლაძემ სლოვაკეთში წაიყვანა:

მეკარეები: გრიგოლ ბედიაშვილი, არდალიონ მიქაბერიძე;

მცველები: დავით ლომაია, ლაშა ჯაფარიძე, პაატა დათუნაიშვილი, ოლეგ გველესიანი, ალექსანდრე კვახაძე, გურამ ადამაძე;

ნახევარმცველები: გიორგი ფეიქრიშვილი, ლუკა რაზმაძე, გიორგი კვაღინაძე, დავით დიღმელაშვილი, გიორგი დათუნაიშვილი;

თავდამსხმელები: ნიკა გელაშვილი, ვასილ ღუჭაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, ზაზა სახოკია, გიგა ბეჭვაია.

„არტმედიას“ თავკაცი კი იოზებ ადამეცია — იგი ახალი კაცია გუნდში და ახალი ფეხბურთელიც ბევრი დახვდა. დღესდღეობით ბრატისლაველთა მთავარ დამრტყმელ ძალად ფორვარდი ტომაშ რეიტერი ითვლება.

შეხვედრა კი ბრატისლავის „ტეჰელნე პოლეზე“ ჩვენი დროით 20 საალზე დაიწყება და სლოვენიელ მსაჯთა ბრიგადა გაუძღვება: არბიტრი რობერტ კრაინჩი იქნება, თანამსაჯები რობერტ ზინშტეინი და ბოიან ული; მეოთხე მსაჯი მატეი იუგი.

ილია ნანოგაჯვილი

„ბაკის“ მწვრთნელმა ბოიუკაგა გაჯიევმა და სიონელთა თავკაცმა კახა ცხადაძემ ერთმანეთს ცუდი თვალით შეხედეს

ბაქოში სიონს უკეთესად დავხვდებით

აზერბაიჯანელებმა ბოლნისელებს სტუმართმოყვარეობა დაუფუნეს

ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო მატჩში ბოლნისის „სიონმა“ შინ აზერბაიჯანულ „ბაკის“ 2:0 სძლია, საპასუხო შეხვედრა კი 18 ივლისს გაიმართება ბაქოში ტოფიკ ბახრამოვის სახელობის სტადიონზე და საქართველოს ჩემპიონს იქ იოლი მატჩი არ უნდა ელოდეს.

„ბაკი“ თბილისიდან ნაწყენი წავიდა მსაჯობითაც და ბოლნისელთა დახვედრითაც. გერმანელმა არბიტრმა ტორსტენ კინჰოფერმა ბაქოელებს ორი ფეხბურთელი გაუძევა პირველ ტაიმში და არც მეტოქეთა მწვრთნელები დაინდო — შესვენებისას „ბაკის“ თავკაცი ბოიუკაგა გაჯიევიც გააძევა და სიონელთა დამრიგებელი კახა ცხადაძეც.

ამ ყველაფერთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ „ბაკის“ ვიცე-პრეზიდენტ ნაილ ალიევს

— უკვე დავწერეთ საჩივარი, რომელსაც აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაცია გაგზავნის უეფაში — ჩვენ უკმაყოფილ ვართ მსაჯობით.

— მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე „ბაკიდან“ რატომ არავინ მოვიდა?

— მატჩის შემდეგ ჩვენ ვაპირებდით პრესკონფერენციაზე დასწრებას, მაგრამ „სიონიდან“ არავინ მიგვიწვია, არადა, თამაშის შემდეგ მატჩის კომისართან ერთად ველოდით „სიონის “ რომელიმე წარმომადგენელს. ისიც უნდა ვთქვა, რომ თბილისში ყოფნისას. ორი დღის განმავლობაში ჩვენთან არავინ მოსულა, სასტუმროც ჩვენ მოვძებნთ.

— მიგაჩნიათ, რომ მსაჯმა უსამართლოდ გააძევა „ბაკის“ ფეხბურთელები?

— მსაჯობა ცალმხრივი იყო. თუ ჩვენები გააძევეს, მაშინ ის სიონელიც რატომ არ გააძევეს, რომელიც მეორე ტაიმში ეუხეშა ჩვენს მეშვიდე ნომერს?

— გასახდელში რა მოხდა? რატომ გააძევეს მწვრთნელები?

— როცა პირველი ტაიმის შემდეგ გუნდები გასახდელისკენ მიდიოდნენ, მწვრთნელები მაშინ შელაპარაკდნენ და მათი გაძევებაც ამას მოჰყვა. გასახდელში სერიოზული ინციდენტი არ მომხდარა.

— ბაქოში როგორ დახვდებით „სიონს“?

— ბოლნისელები სტუმართმოყვარეობით ვერ გამოირჩნენ, რაც მათ გაკეთეს, ეს კავკასიურ სტუმართმოყვარეობას არ შეეფერება. თბილისიდან აეროპორტამდე არავინ გაგვაცილა — ასეთი რამ არსად გვინახავს. ვარჯიშზე კი ტაქსით წავედით, რადგან მანქანა დროულად ვერ გამოგვიგზავნეს. ვერ გამიგია, რატომ მოგვექცნენ ასე, თავის დროზე აზერბაიჯანელები თბილისის „დინამოს“ ვჭომაგობდით... ბაქოში „სიონს“ ბევრად უკეთესად დავხვდებით, ყველაფერი მაღალ დონეზე იქნება ორგანიზებული.

— უსაფრთხოების ზომები მაქსიმალურად იქნება დაცული?

— ჩვენთან ისეთი სიტუაციაა, არანაირი კონფლიქტი არ მოხდება, გულშემატკივარი კი უფრო მეტი მოვა, ვიდრე თბილისურ მატჩზე იყო...

ალიევის კომენტარებზე პოზიციის დაფიქსირება „სიონის“ გენერალურ მენეჯერ **ჯემალ ჭიპაშვილს** ვთხოვეთ.

— სტუმართმოყვარეობას ვერავინ გვასწავლის. თუ სტუმარი კორექტულია, მას სათანადოდ ვმასპინძლობთ. რაც შეეხება პრესკონფერენციას „ბაკის“ მთავარ მწვრთნელს ამის შესახებ თაძაშამდე ორი საათით ადრე ვაუწყეთ — გვითხრა ჭიპაშვილმა.

დავით თავართქილაძე



ზურაბ ბერიძისა ალბომიდან ფოტო

ტორპედოს საქმე გრძელდება: პროკურატურამ პრეზიდენტს დაუმიზნა

უკვე რამდენიმე თვეა, ქუთაისის „ტორპედოს“ საფინანსო საქმიანობას შესაბამისი ორგანოები იძიებენ და დანაშაულის კვალს თითქოს ახლა მიაგნეს. უფრო კონკრეტულად, „ტორპედოს“ ძველ ტრანსფერებს უქექავენ და თანხების გადარიცხვა-გადმორიცხვის კანონიერებას ამოწმებენ.

„ტორპედოს“ რამდენიმე ძველი მუშაკი პროკურატურაში ადრეც ჰყავდათ დაბარებული, მაგრამ მცირეხნიანი დაკითხვის შემდეგ უპრობლემოდ გაათავისუფლეს. გუშინ კი პროკურატურაში „ტორპედოს“ ამჟამინდელი პრეზიდენტი გრიგოლ ხურციძეც ჰყავდათ. როგორც გენერალურ პროკურატურაში გვითხრეს, ხურცხიძესთან გამომძიებლებს ბევრი კითხვა ჰქონდათ, მისი პასუხები მოისმინეს და გაათავისუფლეს. თუმცა მოგვიანებით გავრცელებული ცნობებით, ხურციძე უკვე წინასწარი პატიმრობის საკანშია და სავარაუდოდ ბრალს დღეს წაუყენებენ.

„ტორპედოს“ პრეზიდენტს 30 ათას ლარსა და მის საბანკო ანგარიშზე გაურკვეველი თანხების არსებობას ედავებიან. ვნახოთ, რა როგორ გაგრძელდება...

ლუკა თალაკვაძე

გაბიდაური კვიპროსიდან ყაზახეთში

ქართველმა ნახევარმცველმა გიორგი გაბიდაურმა კვლავ შეიცვალა კლუბი და ამჯერად ყაზახურ ყარაგანდის „შახტიორში“ გადავიდა. გაბიდაურმა წინა სეზონი თემურ ქეცბაიას „ანართოსისში“ გაატარა, თუმცა ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდებოდა. ისე კი, გიორგი კვიპროსში ბერძნული „პანახაიკიდან“ განათხოვრებით თამაშობდა.

გაბიდაურს საქართველოს ნაკრებში სამი მატჩი აქვს ჩატარებული და ერთი გოლიც გაუტანია — ეს შარშანწინდელ მალტის ტურნირზე, სადაც ნაკრებს გოჩა ტყებუჩავა და ნიკა ჩხაიძე წვრთნიდნენ.

ილია ნანოგაჯვილი

სიმფეროპოლის „ტავრიადან“ წასვლის შემდეგ ალეკო ამისულაშვილი რამენსკოეს „სატურნში“ ისინჯებოდა, თუმცა კლუბი და ფეხბურთელი კონტრაქტზე ვერ შეთანხმდნენ. „სატურნი“ არ გამოვიდა, სამაგიეროდ, იაროსლავლის „შინიკის“ ვარიანტი გამოჩნდა და ერთკვირიანი ვარჯიშის შემდეგ ამისულაშვილს კონტრაქტი გაუფორმეს.

ბოლო წლებში „შინიკი“ რუსეთის პრემიერლიგის საშუალო დონის გუნდად ითვლებოდა, თუმცა წლეულს სეზონი ცუდად დაიწყო და ცხრილის ბოლოშია.

შეგახსენებთ, იაროსლავლის გუნდშია ზურაბ მენთეშაშვილიც, თუმცა იგი ჯერ ოფიციალურად არ გამხდარა „შინიკის“ მოთამაშე. სავარაუდოდ, ეს ტრანსფერი მალე შედგებაო, წერს რუსული პრესა.

ილია ნანოგაჯვილი

ამისულაშვილის შინიკი გაღაწყდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახა კაჭარავა: დინამოს გამოცდილება გაზრდის

სიმფეროპოლში ბირთვისა და ლიდერის საძიებლად

გურამ დოლიძის/ფოტო

თბილისის „დინამო“ ევროსარბიელს ინტერტოტოს გათამაშების მეორე ეტაპზე ავსტრიულ „რიდთან“ შეხვედრების შემდეგ დაშორდა და ახლა მთელი ძალღონით საშინაო ჩემპიონატზე გადაერთვება. საამისოდ კი თბილისელები ძველებურად, ისევ დიღმის ბაზაზე აგრძელებენ მზადებას, ხოლო შაბათს სიმფეროპოლში მორიგ შეკრებაზე მიემგზავრებიან, ჩემპიონატის დაწყებამდე იქვე დარჩებიან და რამდენიმე ამხანაგურ მატჩსაც გამართავენ. ამავე შეკრებაზე „დინამოს“ კიდევ სამი ბრაზილიელი ფეხბურთელი დაემატება. როგორც გუნდის მწვრთნელმა კახა კაჭარავამ გვითხრა, მას ამ ლეგიონერების თამაში უკვე უნახავს და დარწმუნებულია, რომ ისინი „დინამოს“ გამოადგებიან, მათგან ორი თავდამსხმელია, ერთიც ნახევარმცველი. კაჭარავას თქმითვე, „დინამოს“ დღესდღეობით ყველაზე მეტად სწორედ თავდასხმაში უჭირს... სხვა რა ხდება „დინამოში“ და რა იქნება მომავალში, ამას კახა კაჭარავას ინტერვიუდან შეიტყობთ...

— პირველ ყოვლისა, მსურს, მადლობა გადავუხადო იმ ქომაგებს, რომლებიც „დინამო“ — „რიდის“ მატჩზე მოვიდნენ და ჩვენს ახალგაზრდულ გუნდს ყველაფრის მიუხედავად პირველიდან ბოლო წუთამდე გულიანად ქომაგობდნენ, მხარდაჭერას არ აკლებდნენ. იმ დღეს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი იყო და ამის მიუხედავად, ქომაგებს „დინამოსთვის“ არ უღალატიათ, რისთვისაც თითოეულს დიდ მადლობას ვეუბნები.

— „რიდთან“ „დინამოს“ ამასწინდელი თამაშის ხარისხზე რას იტყვით?

— ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე სწორედ „რიდმა“ დაგვანახა ჩვენი ამჟამინდელი გუნდის ყველაზე დიდი ნაკლი — თავდასხმა. გოლი თუ ვერ გაიტანე, ისე თამაშს რა აზრი აქვს?! მიუხედავად იმისა, რომ „დინამოში“ საქართველოში საუკეთესო თავდამსხმელები თამაშობენ, მაინც თავდასხმის გაძლიერება გვჭირდება. დაცვისა და ნახევარდაცვის ხაზები კი, ვფიქრობ, მეტნაკლებად ნორმალურადაა ჩამოყალიბებული, ახალგაზრდები — კაშია, ჩირიკაშვილი, თომაშვილი, გრიგალაშვილი, კობახიძე და სხვები მშვენიერ ფორმაში არიან.

— თავდასხმის პრობლემის მოგვარებას როგორ აპირებთ?

— უცხოელი ფეხბურთელების დამატებით. დღესდღეობით „დინამოში“ ერთი ახალი უცხოელი ვარჯიშობს, თუმცა ამ დღეებში ორ თავდამსხმელსა და ნახევარმცველს კიდევ ველით. მათ სიმფეროპოლის შეკრებაზე წავიყვანთ და ვიმედოვნებ, ჩემპიონატის დაწყებამდე გუნდთან შეთამაშებას მოასწრებენ.

— უკვე გადაწყვეტილია, რომ ამ ფეხბურთელებს დაიმატებთ?

— მათი თამაშების ფირი ვნახე და დავრწმუნდი, რომ ისინი „დინამოს“ გამოადგებიან, მაღალი დონის თავდამსხმელები არიან. შესაძლოა, თავიდან ადაპტაცია გაუჭირდეთ, მაგრამ ნელ-ნელა გუნდს მოერგებიან.

— რას იტყვით, „დინამომ“ „რიდთან“ როგორი ფეხბურთიც ითამაშა, ეს მაქსიმუმი იყო?

— არანაირად. „დინამოს“ ამ თაობას ძალიან დიდი პოტენცია აქვს და ამ რამდენიმე ფეხბურთელის დამატების შემდეგ ნახავთ, როგორი გუნდიც იქნება. „რიდსა“ და მისნაირი დონის გუნდებს უპრობლემოდ დავამარცხებთ. ახლა კი „რიდთან“ მხოლოდ გამოუცდელობით წავაგეთ... ბიჭები სულ ერთი თვეა, ერთად არიან. რამდენიმემ სულაც პირველად ითამაშა საერთაშორისო მატჩი. მიუხედავად ამისა, ალბათ დამეთანხმებით, რომ ამ ფეხბურთელებმა მათზე გაცილებით გამოცდილებს ტოლი არაფერში დაუდეს და ოდნავ მაინც რომ გამართლებოდათ, მოუგებდნენ კიდეც. „რიდის“ რამდენიმე ფეხბურთელს კი თავის დროზე ბუნდესლიგაში და ინგლისურ პრემიერლიგაშიც უთამაშია. ასე რომ, „რიდთან“ წაგების მიზეზად ჩვენების გამოუცდელობა მიმაჩნია...

— გამოცდილება რომ ერთი და ორი თამაშით არ მოდის?..

— სამწუხაროდ, საქართველოს ჩემპიონატი არ არის იმ დონის, ფეხბურთელებმა კლასი აიმაღლონ და თვალსაჩინოდ მოუმატონ. ფეხბურთელებს ვიმატებთ-მეთქი, გითხარით და არც ერთი ქართველი იმიტომ არ ვახსენე, რომ ქართული სატრანსფერო ბაზრისკენ აღარც კი ვიხედებით. ვერ ვხედავთ ისეთ ფეხბურთელებს, დარწმუნებულები ვიყოთ, „დინამოს“ გამოადგებიან. გამოცდილება კი, გეთანხმებით, დაბალი დონის გუნდებთან ერთი და ორი მატჩით არ მოდის. ამიტომაც ახლა, სიმფეროპოლის შეკრებაზე ყველა მატჩს უკრაინის ჩემპიონატის უმაღლესლიგელებთან გავმართავთ. უკრაინის ჩემპიონატი კი, მოგეხსენებათ, საშუალო ევროპული დონის მაინც არის, ხოლო კიევის „დინამო“ და „შახტარი“ ევროგრანდებადაც ითვლებიან. მეტოქეები შეგნებულად, ჩვენი ფეხბურთელების დონის ასამაღლებლად და გამოცდილების მისაღებად შევარჩიეთ. ამხანაგური მატჩების შედეგები ნაკლებად მაინტერესებს, მთავარია, გუნდმა გამოცდილება შეიძინოს და სათამაშო კლასი აიმაღლოს.

— ახლანდელ „დინამოს“ ყველაზე მეტად რა აკლია?

— არაფერი არ აკლია. მხოლოდ — გამოცდილება. უკვე გითხარით, სამი-ოთხი ფეხბურთელის დამატების შემდეგ, გაისად ნახავთ, როგორი გუნდი გვეყოლება.

— შეძლებთ კი ამ შემადგენლობის შენარჩუნებას?

— ამ ახალგაზრდული შემადგენლობის დაშლას არ ვაპირებთ. პირიქით, ჩვენთან კიდევ ბევრი პერსპექტიული ფეხბურთელია და მათ დაწინაურებაზე ვფიქრობთ. თუმცა ახალგაზრდულ გუნდში რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი და ლიდერია საჭირო.

— ასეთი კი „დინამოში“ ჯერჯერობით არავინაა.

— სიმფეროპოლშიც სწორედ ამიტომ მივდივართ, ბირთვი უნდა ჩამოყალიბდეს.

— „რიდთან“ მატჩის შემდეგ „დინამოს“ ტაქტიკურ მონახაზში რამე ცვლილებას უნდა ველოდოთ?

— ჩვენ ყოველ მატჩს განსხვავებულად ვთამაშობთ. თუმცა პრინციპს არ ვღალატობთ — „დინამო“ მხოლოდ შემტევ ფეხბურთს თამაშობს.

— რაიმე ერთი, ამოჩემებული ტაქტიკა არ გაქვთ?

— ჩემი სურვილია, რომ მოედანზე მყოფმა თერთმეტივე ფეხბურთელმა კარგად იცოდეს შეტევა — აი, ეს მაქვს ამოჩემებული, თორემ ტაქტიკური ნახაზი, რა თქმა უნდა, შეიცვლება ხოლმე.

— კახა კაჭარავა ისევ მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელია თუ უკვე მწვრთნელი?

— მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი ვარ. „დინამოს“ ხელმძღვანელობა კი მწვრთნელის საკითხზე მუშაობს. როცა მწვრთნელი დაინიშნება, რითაც და როგორც შემეძლება, მას მაქსიმალურად დავეხმარები. აქვე კი მსურს, საერთაშორისო სარბიელზე წარმატება მივულოცო ბოლნისის „სიონს“ და წარმატებები ვუსურვო „ამერს“ და „ვიტ ჯორჯიას“. რაც უფრო ამაღლდება ამ გუნდების თამაშის დონე, მით მეტად წაადგება ეს ქართულ ფეხბურთს.

ბოგა ინასარიძე

გურამ დოლიძის/ფოტო

არის კორღალიძე, არის ფულიც?

დილა გამონათების იმედზეა

ფინანსურად ჯერაც შეჭირვებულ გორის „დილაში“ ახალი ამბავია — გადაწყდა, რომ გუნდის მთავარი მწვრთნელი ოთარ კორღალიძე იქნება.

— „დილაში“ ფინანსური მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს, სხვანაირად არ დავთანხმდები გუნდის გაწვრთნას — გვითხრა გუშინ კორღალიძემ, ვისაც რამდენიმე კითხვით მივმართეთ....

— ვინ დააფინანსებს „დილას“?

— ალბათ ქალაქის ბიუჯეტი. უკვე შევხვდი „დილას“ მესვეურებს და მალე ქვემო ქართლის გუბერნატორ მიხეილ ქარელსაც შევხვდები.

— და დარწმუნებული ხართ, რომ „დილაში“ ფინანსური საკითხი მოგვარდება?

— გორელები მონდომებულები ჩანან, სურთ, კარგი გუნდი გააკეთონ და ეს მაიმედებს. როცა ქარელს შევხვდები, ვთხოვ, „დილაში“ ფინანსური სიტუაცია გაუმჯობესდეს.

— „დილასთან“ უკვე გააფორმეთ კონტრაქტი?

— ჯერ არა, კონტრაქტს ქარელთან შეხვედრის შემდეგ გავაფორმებ.

— „დილას“ მიზანი რა იქნება ახალ სეზონში?

— სეზონის დაწყებამდე დაახლოებით ორი კვირა დარჩა-და გუნდში ბევრს ვერაფერს შევცვლით, პირველი წრის მერე კი ცვლილებები იქნება და გუნდის მიზნებიც მერე უფრო გამოიკვეთება.

— წინა სეზონის დასაწყისში თელავის „კახეთს“ წვრთნიდით და როცა იქიდან ნაადრევად წამოხვედით, კონტრაქტით გათვალისწინებულ თანხას ითხოვდით...

— „კახეთი“ ნორმალურად მოიქცა და კუთვნილი თანხა გადამიხადა.

დავით თავგართქილაძე

ბურდული ლუგანსკში მიდის აბურდულ კრივბასს გიგიაძეც გაეცლება

ალექსანდრე ბურდულის/ფოტო

კრივი როგის „კრივბასის“ ბოლო ამბავი — გაკოტრებულმა გუნდმა უკრაინის უმაღლეს ლიგაში სამონაწილეო საწევრო თანხა ვერ გადაიხადა და პირველ ლიგაში დაქვეითდა.

ახალი სეზონისთვის „კრივბასში“ 26 წლის მარჯვენაფლანგელი ლადო ბურდული გადავიდა, ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, ხოლო 29 წლის შემტევი ვასილ გიგიაძე მანამდეც კრივბასელი იყო.

ბურდულმა „კრივბასთან“ ხელშეკრულება კი გააფორმა, მაგრამ მისი კონტრაქტი უკრაინის ფეხბურთის ფედერაციაში რეგისტრირებული არ არის და ლადოს კონტრაქტით გათვალისწინებული თანხაც არ აუღია. ამის გამო მისი ხელშეკრულება „კრივბასთან“ ანულირებულია, ანუ ბურდული თავისუფალი აგენტია.

ბურდულს უკრაინის უმაღლეს ლიგაში ახლადაღზევებული „ლუგანსკი“ ეპატიჟება და თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ბურდული ლუგანსკელი გახდება.

— შეთანხმება ჩემი „ლუგანსკში“ გადასვლის შესახებ უკვე მიღწეულია. ხვალ ლუგანსკში ჩავალ და კლუბის წარმომადგენლებს კონტრაქტის დეტალებზე დაველაპარაკები. ყველაფერი საბოლოოდ კვირის ბოლოს უნდა გადაწყდეს — გვითხრა გუშინ ბურდულმა.

რაც შეეხება გიგიაძეს, ის თავისუფალი აგენტის სტატუსით ვერ ისარგებლებს და მისმა მოსურნე კლუბმა საქმე „კრივბასთანაც“ უნდა მოაგვაროს. რამდენიმე გუნდის გარდა გიგიაძით „ლუგანსკიცაა“ დაინტერესებული.

დავით თავგართქილაძე

კლინსმანი იადგა, ლიოვი დაჯდა

ტელეფონით დარიგებული მადლობა

იურგენ კლინსმანი გერმანიის ნაკრების მწვრთნელი აღარ არის. მას ასისტენტი იოახიმ ლიოვი შეცვლის.

კლინსმანი მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილის მოპოვებიდან მეოთხე დღეს გადადგა. შედეგი, რომელსაც მისი ხელმძღვანელობით ბუნდესნაკრებმა მიაღწია, მთელმა ერმა დიდ წარმატებად ჩათვალა და გამოკითხვათა თანახმად, გერმანელთა 93 პროცენტი 41 წლის მწვრთნელის დარჩენას ითხოვდა. ყოფილ ფეხბურთელსა და 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონს, დარჩენას სთხოვდა ახალდამთავრებული მუნდიალის მონაწილე ოცდასამივე გერმანელი ფეხბურთელი, მაგრამ კლინსმანმა მტკიცე პოზიცია დაიკავა და გუშინ გადადგომასთან დაკავშირებით პრეს კონფერენცია მოაწყო.

„ახლა ჩემი უდიდესი სურვილი ოჯახში დაბრუნებაა. მინდა ჩვეულებრივი, ნორმალური, არაფრით გამორჩეული ცხოვრებით ვიცხოვრო, მაგრამ გადადგომისკენ კიდევ ერთმა გარემოებამ მიბიძგა — უზარმაზარი ენერგიის ორწლიანი ხარჯვის შემდეგ ვფიქრობ, სამომავლოდ ასეთივე თავდაუზოგავი შრომისთვის ძალ-ღონე აღარ მეყოფა. მარტივად რომ ვთქვა, გადავიწვი. დაახლოებით ნახევარი წელიწადი მინდა, საერთოდ არაფერი ვაკეთო, უბრალოდ დავისვენო“.

კლინსმანმა გერმანიის ნაკრების მწვრთნელის თანამდებობა რუდი ფიოლერისგან 2004 წელს ჩაიბარა, მას მერე, რაც ფიოლერმა ევროპის ჩემპიონატი ჩაფლავა. თავიდან დიდ ეფექტს ვერც კლინსმანი ახდენდა და გერმანული პრესაც სერიოზულად აკრიტიკებდა. განსაკუთრებით რთული დღეები ბუნდესმწვრთნელს ამა წლის მარტში, იტალიასთან ამხანაგური შეხვედრის 1:4 წაგების შემდეგ დაატყდა, მაგრამ ახალგაზრდა მოთამაშეებით დაკომპლექტებულმა გერმანიამ მსოფლიოს ჩემპიონატზე ჯგუფში დაამარცხა კოსტა რიკა, პოლონეთი და ეკვადორი, რასაც მერვედფინალში შვედეთი მიაყოლა, მეოთხედფინალში კი პენალტებით აჯობა არგენტინის ეროვნულ გუნდს. კლინსმანის გერმანია მხოლდ ამის შემდეგ, ნახევარფინალში დამარცხდა იტალიასთან, 0:2. ეს გახლდათ შეხვედრა დამატებითი დროით, როდესაც „სკუადრა აძურამ“ თავისი გოლები სწორედ დამატებითი დროის ბოლო წუთებზე და წამებზე გაიტანა. მესამე ადგილისთვის კი მუნდიალის მასპინძლებმა 3:1 დაამარცხეს პორტუგალია.

მოგეხსენებათ, კლინსმანის თანამდებობაზე დატოვება უნდოდა გერმანიის საფეხბურთო კავშირსაც, რომელიც მწვრთნელს 2008 წლამდე სთავაზობდა ხელშეკრულების გაგრძელებას, მაგრამ მან სხვანაირად განსაჯა.

„ამიერიდან, ერთადერთი აზრიანი ნაბიჯი თანამდებობის იოახიმისთვის ჩაბარება იქნებოდა და მიხარია, რომ სწორედ ასე მოხდება — თქვა კლინსმანმა — მე ყოველთვის ვიმეორებდი, რომ ის, მწვრთნელის ასისტენტზე გაცილებით მეტი იყო. უბრალოდ, თანაბარი პარტნიორი გახლდათ. რაც შეეხებათ ფეხბურთელებს, გუშინ ყველა მათგანს ვერ დავურეკე, მაგრამ ამას აუცილებლად გავაკეთებ და ყველას პირადად გადავუხდი მადლობას.

გერმანიის საფეხბურთო კავშირის შუამავალ ოლივერ ბიერჰოფი კი დანანებით განაცხადა, რომ მას კლინსმანის თანამდებობაზე დატოვება უნდოდა, მაგრამ რა გაეწყობა, იძულებულია პატივი სცეს მწვრთნელის გადაწყვეტილებას.

მან თქვა: „ის ასე მიიჩნევს სწორად და ამ შემთხვევაში ვერავინ ვერაფერს შეცვლის. მის წინააღმდეგ წასვლა საქმის გაფუჭებას ნიშნავს. ამიერიდან ნაკრების გაძღოლას იოახიმ ლიოვს ვთხოვთ და შევეცდებით ამ ჩემპიონატზე ნაჩვენები ლამაზი ფეხბურთის პრინციპები შევინარჩუნოთ, ლიოვი ორწლიან კონტრაქტზე დაგვყაბულდა“.

იოახიმ ლიოვი 46 წლის მწვრთნელია, რომელსაც უდიდესი პოპულარობით არასდროს უსარგებლია. მას არასოდეს უთამაშია სანაკრებო ფეხბურთი, საკლუბო დონეზე კი საშუალოდ გაუგორებია ბურთი.

მწვრთნელობა იოახიმ ლიოვმა 1996 წელს „შტუტგარტში“ დაიწყო, საიდანაც წავიდა და თურქეთსა და ავსტრიაში მოსინჯა ძალა, 2004 წელს კი კლინსმანის ასისტენტი გახდა.

„ბედნიერ ვარ ამავე ფეხბურთელებთან რომ მომიწევს მუშაობის გარძელება — თქვა მან — ჩვენ ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ისინი ძველებური განწყობით დარჩნენ და ორ წლის შემდეგ ევროპის ჩემპიონები გახდნენ“.

პაპუნა კედია

მაესტრომ კონცერტი დაამთავრა



ტიფოზების შეძახილებმა — „მარჩელო, დარჩი!“, ფეხბურთელების და, ფაქტობრივად მთელი იტალიის თხოვნამ არ გაჭრა. მაესტრო ლიპი „სკუადრა აძურას“ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გადადგა და ახალ წინადადებებს დაელოდება. ალბათ, იგი უცხოეთში მოსინჯავს ძალებს, ყოველ შემთხვევაში, ამის სურვილი არაერთხელ გამოუთქვამს. ჯერჯერობით ერთ ვარიანტზე საუბრობენ — „მანჩესტერ იუნაიტედი“. ლიპიმ იტალიის ფეხბურთის ფედერაციას ახალ, ორწლიან კონტრაქტზე უთხრა უარი.

„ორწლიანი მაღალპროფესიული ურთიერთობის, ბრწყინვალე ტექნიკურ ჯგუფთან და მოთამაშეებთან ერთად მიღწეული დიდი წარმატების შემდეგ, ვფიქრობ, ჩემი მისია ამოწურულია. „სკუადრა აძურასთან“ ერთად გატარებული ეს პერიოდი არასოდეს დამავიწყდება. მადლობა ფედერაციას ჩემდამი გამოჩენილი ნდობისთვის. ეს გამარჯვება სამუდამოდ დარჩება იტალიური ფეხბურთის ისტორიაში და ქომაგების გულებში“ — განაცხადა ლიპიმ.

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ჯანკარლო აბეტე: „მე ეს რამდენიმე კვირის წინ ვიცოდი. მარჩელო ლიპიმ ჯგუფური ეტაპისას მითხრა, რომ, როგორც არ უნდა დასრულებულიყო მუნდიალი, პოსტის დატოვება ჰქონდა გადაწყვეტილი. მინდა, პირადად მოვუხადო მას მადლობა იმ ბრწყინვალე და დიდი სამუშაოსთვის, რაც გასწია და ასეთ რთულ პერიოდში მსოფლიოს ჩემპიონებად გვაქცია“.

ერთ-ერთი, ვინც ლიპის დარჩენას სთხოვდა, ენცო ბეარზოტიც გახლდათ, რომელსაც მარჩელო ლიპის ხშირად ადარებენ. მწვრთნელი, რომელმაც 1982 წელს „სკუადრა აძურა“ ასევე დიდ გამარჯვებამდე მიიყვანა და მერე თავადაც დატოვა პოსტი.

„იგი უნდა დარჩეს. მომავალი შედეგები და ისტორია გადაწყვეტს, როდის მოვა ლიპის წასვლის დრო“ — განუცხადა ცოტა ხნის წინ ბეარზოტიმ „გაძეტა დელო სპორტს“.

ტურინის „იუვენტუსის“ ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა ეროვნული ნაკრები 2004 წელს ჯოვანი ტრაპატონისგან ჩაიბარა. მის ხელში „სკუადრა აძურამ“ 29 მატჩი ჩაატარა, მოიგო 18, საფრანგეთთან პენალტებში და გერმანიასთან დამატებით დროში გამარჯვების ჩათვლით. ფრედ ითამაშა ცხრაჯერ და წააგო მხოლოდ ორჯერ. ეს ორი მარცხი 2004 წელს იყო. მის სადებიუტო, ამხანაგურ შეხვედრაში ისლანდიასთან (0:2) და მუნდიალის შესარჩევ შეხვედრაში სლოვენიასთან (0:1).

და ვინ შეცვლის ლიპის? იტალიურ პრესაში ჯერჯერობით ოთხ კანდიდატზე საუბრობენ: რობერტო დონადონი, ალბერტო ძაკერონი, კლაუდიო ჯენტილე და ჯანლუკა ვიალი.

გიორგი კაკაბაძე

იურგენ კისლინგი

სიკვდილის პირას

მსოფლიოს ახალდამთავრებული ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა, 65 წლის იურგენ კისლინგმა ფინალის დამთავრებიდან რამდენიმე საათში ტყვია დაიხალა და საავადმყოფოში სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე წევს.

იურგენ კისლინგს ბერლინში „ბატონ მსოფლიო ჩემპიონატს“ უძახდნენ. მან, როგორც პოლიციის პრესცენტრის წარმომადგენელი ამბობს, კვირა საღამოს, იტალიისა და საფრანგეთის თამაშის შემდეგ, გერმანიის დედაქალაქის ჩრდილოეთ უბანში, რაინგენდორფში მდებარე საკუთარ სახლში პისტოლეტით სცადა თავის მოკვლა.

როგორც გაზეთი „ბერლინერ ცაიტუნგი“ იუწყება, კისლინგმა ორი წერილი დატოვა. ერთის ადრესატი გახლავთ მისი უმცროსი ქალიშვილი, ხოლო მეორის — მისი დანარჩენი ოჯახი. ამ წერილების არსებობას პოლიცია არც უარყოფს და არც ადასტურებს.

ჰერ კისლინგის მეუღლე რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა და ის შვილთან ცხოვრობდა. „ბერლინერ ცაიტუნგი“ ვარაუდობს, რომ თვითმკვლელობის მიზეზი პოლიტიკურია — კისლინგი ბერლინის მთავრობის წევრი და ფიფასთვის მსოფლიოს ჩემპიონატის საკითხთა კოორდინატორი გახლდათ. სწორედ ის იყო ბერლინის ცენტრში ქომაგთათვის ვეება ტელეეკრანის დამონტაჟების ორგანიზატორი.

პაპუნა კედია

საუკეთესოს საუკეთესო აღარ დავარქვათ!

სად დაიმალა ბლატერი?

როგორც ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა განაცხადა, საფრანგეთის ნაკრების კაპიტან ზინედინ ზიდანს მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის ჯილდო შესაძლოა, აღარ გადაეცეს.

მოგეხსენებათ, ზიდანი შეჯიბრების საუკეთესოდ, გერმანიაში აკრედიტებულმა ჟურნალისტებმა დაასახელეს. რეფერენდუმში მან გაუსწრო ფაბიო კანავაროსა და ანდრეა პირლოს, მაგრამ ფინალში მომხდარი ცნობილი ინციდენტის გამო — საუბარია მარკო მატერაცისთვის მკერდში თავის მირტყმაზე — გამოკითხვის შედეგები, ყოველ შემთხვევაში მისი ის ნაწილი, რომელიც ზიდანს ეხება, შეიძლება გააუქმონ.

„ფიფას სადისციპლინო განყოფილებას ფინალში დატრიალებული ამბის გამოძიება დავავალე — უთხრა მსოფლიო ფეხბურთის შეფმა იტალიური „ლა რეპუბლიკას“ ჟურნალისტს — და სანამ რამეს გადავწყვეტდეთ, გამოძიების შედეგებს დაველოდებით. საერთოდ კი, მართალია, საუკეთესო ფეხბურთელს ფიფა არ ასახელებს — მას ჟურნალისტები ასახელებენ — მაგრამ საფეხბურთო ეთიკის სერიოზული დარღვევისთვის ჩვენ საქმეში ჩარევა და დაჯილდოების გაუქმება შეგვიძლია. მაგრამ ვიმეორებ, სანამ გამოძიება არ დამთავრდება ჩვენ არაფერს არ ვიღონებთ. სანამ დანაშაული არ დამტკიცდება ადამიანი უდანაშაულოა და ეს საყოველთაოდ მიღებული წმინდათა წმინდა პრინციპი გახლავთ“.

შემდეგ ბლატერმა განაცხადა, რომ ზინედინ ზიდანის საქციელი მისთვის უბრალოდ მოულოდნელი იყო:

„ამ ამბავმა ძალიან მატკინა გული. ზიდანს ადგრა ფელწადინ ეცნობა, მისი ასეთი ქცევა პირადად მისთვისაც — და ზოგადად „ფეირ-პლეის“ პრინციპისთვისაც ძალიან ცუდი გახლდათ. ვიცი, ის ფინალის შემდეგ დათრგუნული იყო როდესაც საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის თანამშრომლებმა მოედანზე გასვლა და მედლის აღება სთხოვეს, მან მიუგო, რომ მედალს არ იმსახურებს“.

და კიდევ ერთი საინტერესო კითხვა, რომელიც იტალიურმა გაზეთმა ფაქტობრივად მთელი მსოფლიოს პირით დაუსვა პრეზიდენტს: სად იყავით ფინალის შემდეგ? დაჯილდოვების ცერემონიალზე რატომ არ გამოჩნდით?

„ჯერ კიდევ მეოთხედფინალების შემდეგ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ჩემპიონთა დაჯილდოვების პატივი, ჩემს ვიცე პრეზიდენტსა და უეფას პრეზიდენტ ლენარტ იუჰანსონს უნდა ხვდომოდა წილად. რატომ მეოთხედფინალების შემდეგ? იმიტომ, რომ სწორედ მაშინ გაირკვა, რომ ახალი ჩემპიონი „მისი კონტინენტის“ გუნდი გახდებოდა“.

პაპუნა კედია

გაქცევა გატეხილი ფანჯრიდან

გუშინ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ განაცხადა, რომ კრიშტიანუ რონალდუს არ გაყიდის. კლუბი ამ განცხადებას აკეთებს მხოლოდ და მხოლოდ პრესის გადაჭარბებული ინტერესის დასაკმაყოფილებლად, თორემ პორტუგალიელი ფეხბურთელის გაყიდვა „უბრალოდ გამორიცხულია“.

„ცოტა ხნის წინ კრიშტიანუმ 2010 წლამდე გააგრძელა ჩვენთან კონტრაქტი და დარწმუნებულნი ვართ, რომ ის საკუთარ ხელმოწერას პატივს სცემს. მეორე მხრივ, მზად ვართ მის ნებისმიერ შემოთავაზებას თუ პრობლემას გულდასმით მოვუსმინოთ. კრიშტიანუ მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ახალგაზრდა ვარსკვლავია, რაშიც მსოფლიოს ჩემპიონატმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, ხოლო „მანჩესტერ იუნაიტედი“ საუკეთესოებს არ ყიდის“ — აი, ასეთია ციტატა, თუმცა რას ფიქრობს თავად რონალდუ? როგორია მისი პოზიცია? ამის გასარკვევად შეგვიძლია **News of the World**-ის ბოლო ნომერში ჩავიხედოთ და იქ ამოკითხული, შედარებით მოკლედ მოვყვეთ.

ამ პატივცემული ინგლისური ტაბლოიდის სტატია საკუთრივ პორტუგალიელი თავდამსხმელის გამონათქვამით იწყება: „მე მანჩესტერიდან მადრიდის „რეალში“ უნდა წავიდე.“

შემდეგ რონალდუ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელ ალექს ფერგიუსონსა და მეპატრონე მალკოლმ გლეიზერზე ამბობსა:

„ფაქტობრივად, სწორედ ეს ორი ადამიანი მაგდებს ინგლისიდან. გამორიცხულია, მე „მანჩესტერ იუნაიტედში“ ვეღარ ვითამაშებ. ამას ცხელ გულზე სულაც არ ვამბობ, აბსოლუტურად მშვიდად ვარ და ჩემი აგენტი ჟორჟე მენდეშიც ჩემს ტრანსფერზე მუშაობს. არის მხოლოდ ერთი გუნდი სადაც გადასვლა მინდა, ეს მადრიდის „რეალია“.

საინტერესოა, რომ რონალდუ ფერგიუსონსა და გლეიზერს მსოფლიოს ჩემპიონატზე მომხდარი ამბის შემდეგ მის არდაცვაში ადანაშაულებს. გახსოვთ, ხომ რაზეც არის ლაპარაკი? ლაპარაკია პორტუგალიისა და ინგლისის მეოთხედფინალურ მატჩში მომხდარ ინციდენტზე, როდესაც რონალდუ მსაჯს მიეჭრა და თანაკლუბელის, უეინ რუნის გაძევებისკენ მოუწოდა გაშმაგებით.

„არც პრეზიდენტმა დამიცვა და არც მწვრთნელმა, არადა ამ ორს სწორედაც რომ მართებდა ჩემი დაცვა. ახლა თავს დაუცველად ვგრძნობ. არავისთვის არაფერი დამიშავებია და ის ინციდენტიც არ არის ჩემი გამოწვეული. მოკლედ, ვფიქრობ ჩემი ამბავი ორ-სამ დღეში საბოლოოდ უნდა გაირკვეს“.

რონალდუმ მანჩესტერში პირველი გაოცება ორი კვირის წინ გამოიწვია, როდესაც განაცხადა, რომ „რეალის“ პრეზიდენტობის კანდიდატთან, ხუან ვილიარ მირთან შეთანხმდა, რომ მისი არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში მადრიდში გადავიდოდა. და რა მოხდა არჩევნებზე? გაიმარჯვა სულ სხვა კაცმა, რამონ კალდერონმა, თუმცა რონალდუ იხტიბარს არ იტეხს და ამბობს, რომ მაინც „რეალში“ უნდა გადავიდეს.

როგორც ინლისური პრესა იუწყებოდა, ინგლის-პორტუგალიის მეოთხედფინალური მატჩის შემდეგ რონალდუს ჩეშირულ სახლს ფანჯარა ჩაუმტვრიეს და შესასვლელი კარიც დაუზიანეს.

თუმცა, მერე ყველაფერი დამშვიდდა და რაც მთავარია, თავად რუნისა და რონალდუს შორის მოგვარდა ურთიერთობა. ხომ გახსოვთ, რუნი თავიდან, პორტუგალიელ თანაგუნდელს ორად გაგლეჯვას პირდებოდა, მაგრამ მერე ერთმანეთს მესიჯები მიწერ-მოწერეს და შერიგდნენ. როგორც ცნობილია, რუნიმ უთხრა, დროა ყველაფერი დავივიწყოთ, მე შენთან ერთად თამაში მინდა და გთხოვ, „მანჩესტერ იუნაიტედში“ დარჩიო.

და მაინც, რონალდუს წასვლა აქვს აჩემებული. იქნებ ინგლისური პრესის ცნობილი ზეწოლისა და ზღვარგადასული ავყიობის ეშინა?

„ინგლისური პრესის ზეწოლა აბსოლუტურად არ მაღელვებს. ინგლისმა პორტუგალიასთან ორ-სამჯერ წააგო და პრესაც ამიტომ არის გაღიზიანებული. მერედა, ყველამ იცის რა შვილიცა ბრძანდება ეს ინგლისური პრესა“. — ყინჩადვე დააგვირგვინა „რეალის“ კარზე მოკაკუნე გარემარბმა.

პაპუნა კედია

მანჩესტერი ძვირფას კასილიასს იკერავს

„მანჩესტერ იუნაიტედი“ იკერ კასილიასს არ ეშვება — ინგლისელებმა მადრიდის „რეალს“, ესპანეთის ნაკრების მეკარის სანაცვლოდ, 46 მილიონი ევრო შესთავაზეს. შეგახსენებთ, რომ „იუნაიტედი“ კასილიასით ადრეც იყო დაინტერესებული და, მიუხედავად „რეალის“ მტკიცე უარისა, ფერგიუსონის კლუბი უკან დახევას არ აპირებს, მით უმეტეს, რომ მანჩესტერელთა ძირითადმა გოლკიპერმა ვან დერ სარმა, გასულ სეზონში ფრიად უფერულად ითამაშა. სერ ალექსს ძალიან უნდა, რომ კასილიასი როგორმე გადაიბიროს.

პირველად ჩრდილოელებმა სამხრეთელ მეკარეს სატრანსფერო წინადადებით 2005 წლის მარტში მიმართეს, ერთი თვით ადრე, ვიდრე კასილიასი „რეალთან“ ხელშეკრულებას გაახარკრძლივებდა. მაშინ „მანჩესტერმა“ იკერს და მის აგენტს ხუთსეზონიანი კონტრაქტი შესთავაზა, წელიწადში 5 მილიონი ევროს ანაზღაურებით, თუმც გოლკიპერმა ალბიონზე წასვლას, ისევ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ დარჩენა არჩია და 2011 წლამდე განაახლა შეთანხმება სამეფო გუნდთან. მადრიდული გაზეთების თანახმად, „რეალი“ იკერის გაშვებას არ აპირებს, თუმცა 46 მილიონი მაინც მაცდური თანხაა...

„მანჩესტერიდან“ კი რუუდ ვან ნისტელროი მიდის. ჰოლანდიელი თავდამსხმელი მწვრთნელ ფერგიუსონის სამომავლო გეგმებში აღარ შედის და ნისტელროისაც, სავარაუდოდ, მიუნხენის „ბაიერნში“ გააგზავნიან. „ფეხბურთელს ჩვენთან თამაში სურს. ახლა მოლაპარაკებებს „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ვაწარმოებთ“ — უთხრა ჟურნალისტებს კარლ ჰაინც რუმინიგემ, „ბაიერნის“ პრეზიდენტმა.

ლადო ხომერიკი

ლეო, გვანახე ევროპა!

ჰოლონეთმა ჰაჰა დაიჭირაფა

პოლონეთის ნაკრები ცნობილმა ჰოლანდიელმა მწვრთნელმა, ახალდასრულებული მუნდიალის მონაწილემ — ტრინიდადისა და ტობაგოს ეროვნულ გუნდს ედგა სათავეში — ლეო ბეენჰაკერმა ჩაიბარა. 64 წლის ბეენჰაკერმა თანამდებობაზე პაველ იანაში შეცვალა.

აღსანიშნავია, რომ ჰოლანდიელი სპეციალისტი იქნება პირველი უცხოელი, ვინც პოლონეთის ნაკრებს გაწვრთნის. მისმა წინამორბედმა, იანაშმა კი, თანამემამულეებს მსოფლიოს ჩემპიონატზე უსახური გამოსვლით გაუცრუა იმედი.

„მეამაყება ასეთი წარმატებული და ცნობილი მწვრთნელის დაქირავება რომ მოვახერხე — თქვა პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მიხალ ლისტკევიჩმა — მწამს, ბეენჰაკერი პოლონურ ფეხბურთს ახალ თვისებებსა და ხარისხს შესძენს, რისი წყალობითაც, ისტორიაში პირველად, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოვხვდებით“.

საკუთრივ ბეენჰაკერმა კი განაცხადა: „პოლონურ ფეხბურთს დიდი ისტორია და რამდენიმე დიდი ტიტული აქვს, მაგრამ, რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, ამ ქვეყნის ნაკრები არასდროს ყოფილა ევროპის ჩემპიონატზე. სწორედ ეს გახლავთ ჩემი დიდი გამოწვევა — მინდა, გავხდე პოლონელთა პირველი მწვრთნელი, რომელიც გუნდს ევროპის პირველობაზე ათამაშებს.“

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში პოლონეთის ნაკრების კონკურენტები არიან: მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალისტი პორტუგალია, ბელგია, სერბეთი და ფინეთი.

უნდა ითქვას, რომ მიხალ ლისტკევიჩს ბეენჰაკერის დანიშვნაში სერიოზული ძალები უშლიდნენ ხელს, მაგრამ მან თავისი მაინც გაიტანა და განაცხადა:

„ჩემი პირადი კეთილდღეობისთვის არაფერი გამიკეთებია. უბრალოდ, გადავწყვიტე, რომ დროა, ჩემი ქვეყნის ნაკრებს რომელიმე უმაღლესი რანგის მწვრთნელმა უხელმძღვანელოს.“

ლეო ბეენჰაკერი

დაიბადა 1942 წლის 2 აგვისტოს როტერდამში. წვრთნიდა:
1972-75 — „კამბურს“ (ჰოლანდია)
1975-76 — „იგლზს“ (ჰოლანდია)
1979-81 — „აიაქსს“ (ჰოლანდია) — 1980 წელს გუნდი ჩემპიონი გახადა.
1981-84 — „სარაგოსას“ (ესპანეთი)
1985 — „ვოლენდამს“ (ჰოლანდია). გუნდი ლიგიდან გავარდა.
1985-86 — ჰოლანდიის ნაკრებს. 7 მატჩი
1986-89 — „რეალს“ (ესპანეთი). 87, 88, 89 გუნდი ჩემპიონი გახდა. 89-ში თასი მოიგო.
1989-91 — „აიაქსს“ (ჰოლანდია) ჩემპიონი გახადა.
1990 წლის მაის-ივნისში ანუ მსოფლიოს ჩემპიონატ ზე ხელმძღვანელობდა ჰოლანდიის ნაკრებს
1991-92 — „რეალს“ (ესპანეთი)
1992-93 — „გრასჰოპერს“ (შვეიცარია)
1993-94 — საუდის არაბეთის ნაკრებს.
1994-95 — „ამერიკას“ (მექსიკა)
1995-96 — „გვადალახარას“ (მექსიკა)
1996-97 — „ვიტესს“ (ჰოლანდია)
1997-2000 — „ფეიენოორდს“. 89-ში გუნდი ჰოლანდიის ჩემპიონი გახადა.
2000-2003 — „აიაქსში“ ტექნიკურ დირექტორად მუშაობდა.
2003-2004 — „კლუბ ამერიკას“ (მექსიკა)
2004-2005 — იყო ჰოლანდიური „გრააფსხაპის“ მრჩეველი.
2005-2006 — ტრინიდადისა და ტობაგოს ნაკრებს.

ზე მადრიდის გზაზე

მადრიდის „ატლეტიკო“ ზე რობერტოს შეძენით დაინტერესდა. „ვისენტე კალდერონზე“ ნახევარმცველები სჭირდებათ და მადრიდელებმაც 32 წლის ბრაზილიელს დააგდეს თვალი.

ზე რობერტო ამჟამად უგუნდოდაა დარჩენილი. „ბაიერნმა“ მასთან კონტრაქტის გახანგრძლივება არ ისურვა. ამიტომაც „ათლეტებს“ შეუძლიათ, სასურველი ფეხბურთელი ხელში უფასოდ ჩაიგდონ.

თავის დროზე (2005 წლის მარტში) „ატლეტიკომ“ ბრაზილიელის გადაბირება სცადა, ოღონდ მაშინ ზე რობერტომ „ალიანს არენაზე“ დარჩენა გადაწყვიტა.

ოკეანისგაღმელ კაცს ფრანგული და ბერძნული კლუბებიც ეპატიჟებიან, თუმც, ესპანური გაზეთების ცნობით, ზეს პრიმერადივიზიონში დაბრუნების პერსპექტივა ხიბლავს — კაპელოსა და იუპ ჰაინკესის მწვრთნელობისას ბრაზილიელი ხომ მადრიდის „რეალში“ თამაშობდა.

„ატლეტიკოს“ წარმომადგენელი მიგელ ანხელ ხილი და ზე რობერტოს აგენტი ჟუან ფიგერი ახლა მოლაპარაკებას აწარმოებენ. შეგახსენებთ, რომ ზე

რობერტო სახელგანთქმულმა ფრანგულმა ჟურნალმა „ფრანს ფუტბოლმა“ მუნდიალზე საუკეთესო ბრაზილიელ მოთამაშედ აღიარა.

ლადო ხომერიკი

კალდერონი კაკანებს

მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა, განაცხადა, რომ სამეფო კლუბში სეზონთაშორისის დროს რამდენიმე ახალ ფეხბურთელს შეიძენს. „გუნდის მწვრთნელ ფაბიო კაპელოს და სპორტულ დირექტორ პრედრაგ მიატოვიჩს უკვე მოველაპარაკე — 2006-07-ის სეზონისთვის ახალ ფეხბურთელს ვიყიდით. ფინანსურად, ამ მხრივ, არანაირი პრობლემა არ შეგვექმნება“ — თქვა პრეზიდენტმა ჟურნალისტებთან.



კალდერონს გვარები არ დაუსახელებია, თუმცა, ესპანურ მედიას თუ ვენდობით, ესენი, კანავარო, სესკი, ემერსონი, დიარა, რობენი და კაკა უნდა იყვნენ. სენიორ პრეზიდენტი განსაკუთრებით „მილანის“ ბრაზილიელს უმიზნებს: „კაკას მადრიდში ჩამოყვანა ჩვენი დიდი სურვილია. კაპელომ მითხრა, რომ იგი გუნდს სჭირდება. პირადად მე კი ვიცი, თავად კაკასაც „რეალში“ გადმოსვლა უნდა. „მილანი“ 50 მილიონს ითხოვს, თუმცა ვეცდებით, ტრანსფერი უფრო იაფად გადავწყვიტოთ.“

მედიასთან შეხვედრის დასასრულს, რამონ კალდერონმა „ბარსელონაზეც“ ისაუბრა: რაც შეეხება „ბარსასთან“ მეტოქეობას, მე კატალონიელთა პრეზიდენტ ლაპორტასთან მშვიდობიანი პაქტი გავაფორმე, ერთმანეთის ფეხბურთელების გადაბირებას არ ვაპირებთ“ — აღნიშნა „სანტიაგო ბერნაბეუს“ გრანდის პრეზიდენტმა.

ლადო ხომერიკი

ვენგერი რეალს: სესკი თქვენთან გამორიცხულია

„არსენალის“ მწვრთნელმა არსენ ვენგერმა მადრიდის „რეალს“ შეუთვალა, ფრანსესკ ფაბრეგასზე არც იფიქროთო. მადრიდული კლუბის პრეზიდენტი რამონ კალდერონი არჩევნების წინ ამტკიცებდა, ჩემი გამარჯვების შემთხვევაში სესკს ვიყიდიო, მაგრამ ვენგერმა თქვა, მისი ნებისმიერი მცდელობა ამაო იქნებაო.



19 წლის ესპანელი „არსენალმა“ 2003-ში წაიყვანა „ბარსელონადან“. მან მსოფლიოს ჩემპიონატზეც არცთუ ურიგოდ ითამაშა, „რეალის“ მწვრთნელ ფაბიო კაპელოს კი სესკი შესაძენთა სიაში ჩაუწერია.

„მეთოფეთა“ ფრანგმა თავკაცმა იცის, რომ პრემიერლიგის ჩემპიონობისთვის ბრძოლაში „არსენალისთვის“ სესკი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია. „ფაბრეგასის დებიუტი სამი წლის წინ შედგა და მას შემდეგ უდიდესი პროგრესი განიცადა — განაცხადა ვენგერმა — 19 წლისაა და უკვე ნაკრების ძირითად შემადგენლობაში თამაშობს. მის გაყიდვას არ ვაპირებთ, რადგან სამომავლოდ გუნდი სწორედ ამ ნიჭიერ ესპანელზე უნდა ავაწყო“.

ბოლოს კი ვთქვათ, რომ „არსენალი“ ოთხ მილიონ გირვანქად ხავიერ სავიოლას ყიდულობს. ეს ტრანსფერი, ალბათ, კვირის ბოლომდე მოგვარდება.

ვაჟა ხუციშვილი

იტალიელი ოქროკაცი

მსოფლიოს ჩემპიონი ჯანლუკა ძამბროტა თავის მომავალს უახლოეს ხანში გაარკვევს. „იუვენტუსს“, „ლაციოს“, „მილანსა“ და „ფიორენტინას“ იტალიის დაბალ ლიგებში უპირებენ გადაბრძანებას და 29 წლის ძამბროტამაც, იტალიური გაზეთების ცნობით, ესპანურ პრიმერადივიზიონს უნდა მიაშუროს — „რეალს“ ან „ბარსელონას“.



მუნდიალის ოქროსმედალოსანის დასაკუთრებისთვის ორი მოსისხლე მტერი ებრძვის ერთმანეთს. თავად ძამბროტამ „ბარსასთან“ მოლაპარაკება აღიარა, ხოლო „რეალის“ თავკაცები აცხადებენ, იტალიელ ფეხბურთელს მალე „სანტიაგო ბერნაბეუზე“ იხილავთო...

მადრიდიდან კი რობერტო კარლოსს დაუგეგმავს წასვლა. როგორც იქაური „მარკა“ გვამცნობს, ბრაზილიელს, პრეზიდენტ კალდერონსა და სპორტულ დირექტორ მიატოვიჩისთვის უთქვამს, თქვენთან თანამშრომლობას აღარ ვაპირებო. რობერტოს შეძენით „ჩელსია“ დაინტერესებული. ვნახოთ, „რეალის“ ვეტერანი მცველის „ბერნაბეუზე“ ყოფნა-არყოფნის ამბავს სულ ორიოდ დღეში უნდა მოეფინოს ნათელი.

ლადო ხომერიკი

კირკლანდის გათხოვება და უპირო ჰამანი

კრის კირკლანდი

ინგლისურმა „ლივერპულმა“ 25 წლის მეკარე კრის კირკლანდი ექვსი თვით „უიგანში“ გაანთხოვრა. კონტრაქტის პირობების თანახმად, თუ პოლ ჯუელის გუნდი ისურვებს, კირკლანდის ბოლომდე გამოსყიდვის შანსი ექნება. შეგახსენებთ, რომ „უიგანმა“ აქამდე უკვე მოასწრო „ბირმინგემიდან“ ემილ ჰესკისა და „კრისტალ პალასიდან“ ფიც ჰოლის დამატება.

„თუ კრისს ისევ ტრავმები არ გააწამებს, იგი ჩვენთვის ბრწყინვალე შენაძენი იქნება“ — აღნიშნა ჯუელმა.

კირკლანდი გასულ სეზონში „ვესტ ბრომვიჩში“ იყო განათხოვრებული, მაგრამ ტრავმებმა გააწამა. იგი მუნდიალზეც უნდა წასულიყო ინგლისელთა მესამე მეკარედ, თუმც ზედ ჩემპიონატის წინ დაშავდა და სვენ გორან ერიკსონმა მის ნაცვლად გერმანიაში სკოტ კარსონი წაიყვანა.

„ლივერპულს“ დატოვებს ვეტერანი დიტმარ ჰამანიც. 32 წლის გერმანელი ნახევარმცველის „ბოლტონში“ გადასვლა თითქოს გადაწყვეტილი იყო, მაგრამ მან ბოლო მომენტში გადაიფიქრა. ახლა ამბობენ, ჰამანი უახლოეს დღეებში „მანჩესტერ სიტიში“ გადავაო.

„გვინდა, განვმარტოთ, რომ დიდი ჰამანთან შეთანხმება მიღწეული იყო, მაგრამ მან გადაიფიქრა და მალე სხვა კლუბში გადავა. ამ საკითხზე კომენტარებს აღარ გავაკეთებთ“ — ნათქვამია „ბოლტონის“ ოფიციალურ განცხადებაში.

კოკი კანდელაკი

იბრაჰიმოვიჩი სუპერმარკეტიდან

შვედური პრესა ირწმუნება, რომ ზლატან იბრაჰიმოვიჩი მომავალი სეზონიდან „ინტერში“ ითამაშებს. გავრცელებული ცნობით, შეთანხმება უკვე მიღწეული ყოფილა და ტრანსფერი, არდადეგებიდან ფორვარდის დაბრუნებისთანავე გაფორმდება.

მოგეხსენებათ, „იუვენტუსს“ სერია A-დან მოკვეთა ემუქრება, ტურინელებს განაჩენს უახლოეს დღეებში გამოუტანენ და ამის გათვალისწინებით, „ბებერი ქალბატონის“ ფეხბურთელებს სხვადასხვა კლუბები ბუზებივით დაესივნენ. მათ შორისაა იბრაჰიმოვიჩიც, რომლის სახელსაც „ინტერის“ გარდა „მილანს“, „რეალს“ და „მანჩესტერ იუნაიტედს“ უკავშირებდნენ.

„იუვენტუსის“ ახალგაზრდა და ახლადგამომცხვარი სპორტული დირექტორი ალესიო სეკო კი ამბობს, რომ კლუბი ყველანაირად შეეცდება ძირითადი ბირთვის შენარჩუნებას და წამყვანი მოთამაშეების გასხვისებით ფულის გაკეთებას არ აპირებს.

„სერია C-ზე ფიქრიც არ გვინდა. თუ მოხდა და სერია B-ში გაგვაგდეს, ვეცდებით, იმავე სეზონში სერია A-ს საგზური მოვიპოვოთ და მერე ჩემპიონთა ლიგას დავუბრუნდეთ. შესაბამისად, გუნდის დაშლას არ ვაპირებთ, რა თანხებიც არ უნდა დაგვიჯდეს, მომავალზე უნდა ვიფიქროთ და კლუბში ძლიერი ფეხბურთელები ვიყოლიოთ. მოთამაშეების გაყიდვით ფულის გაკეთება ახლა ჩვენი სტრატეგია არ არის. მართალია, ვატყობ, რომ ძნელია, მაგრამ გვინდა, ყველას გავაგებინოთ, „იუვენტუსი“ სუპერმარკეტი არ არის, სადაც ფეხბურთელები იყიდებიან“ — აღნიშნა სეკომ.

გიორგი კაკაბაძე

ანიბალი მარტინომ შეჭამა

პარაგვაის ნაკრების მთავარი მწვრთნელი არგენტინელი ხერარდო მარტინო გახდება, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის მერე გადამდგარ ანიბალ რუისს შეცვლის. იგი პოსტს იანვარში ჩაიბარებს, რადგან იქამდე პარაგვაულ „ლიბერტადთან“ აკავშირებს კონტრაქტი და მისი შეწყვეტა არ სურს.

მარტინოს პარაგვაიში კარგად იცნობენ. იგი იქ დიდი ხანია, მუშაობს. „ლიბერტადი“ ქვეყნის ჩემპიონად ოთხჯერ აქცია, ხოლო მეორე ცნობილი ადგილობრივი კლუბი „სერო პორტენიო“ — ორჯერ.

„მარტინოს „ლიბერტადთან“ კონტრაქტი დეკემბერში დაუმთავრდება და ეროვნულ ნაკრებს იანვრიდან ჩაიბარებს. იქამდე მას არ შევაწუხებთ, რადგან ლიბერტადორესის თასის მატჩები ელის. მით უმეტეს, მალე მნიშვნელოვანი შეხვედრაა „რივერ პლეიტთან“ — თქვა პარაგვაის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა ორასიო კორტესმა.

პარაგვაელებს ახალ წლამდე რამდენიმე ამხანაგური მატჩი ელით, მერე კი ვენესუელაში „კოპა ამერიკაზე“ გაემგზავრებიან და უკვე მარტინოც მათთან ერთად იქნება. კონტრაქტის დეტალებზე ჯერ არაფერია ცნობილი.

ხერარდო მარტინო

„იგი ბრწყინვალე მწვრთნელია და, დარწმუნებული ვარ, წარმატებას მოგვიტანს. თავად მარტინოც ძალიან გახარებულია ჩვენი შეთანხმებით, რადგან პარაგვაის ნაკრების მწვრთნელობა ერთ-ერთი საუკეთესო რამ არის, რაც შეიძლება მის კარიერაში მოხდეს. იგი უკვე დიდი ენთუზიაზმით ემზადება ამისთვის. იქამდე კი პრობლემა არ გვექნება, მხოლოდ რამდენიმე ამხანაგური მატჩი გვაქვს ჩასატარებელი“ — დასძინა კორტესმა.

კოკი კანდელაკი

ბოდიშინიო

რონალდოს აზრით, ბრაზილიის ნაკრებს მეტისმეტად მკაცრად აკრიტიკებენ. პენტაკამპეონებმა გერმანია 2006-ზე ტურნირი მეოთხედფინალიდან დატოვეს და ოკეანისგაღმაც კრიტიკის უზარმაზარი ტალღა აგორდა.

„ბევრი რამ წავიკითხე პრესაში ჩვენი ნაკრების შესახებ და ვთვლი, რომ გადამეტებულად გვლანძღავენ. რა უბედურებაა, ბრაზილიას ყველა მუნდიალის მოგება ხომ არ შეუძლია. აგერ, გადასარევი გუნდი გვყავდა, მაგრამ ფრანგებთან მაინც დავმარცხდით“ — აცხადებს მადრიდის „რეალისა“ და ბრაზილიის ეროვნული გუნდის სახელგანთქმული მოიერიშე.

29 წლის კიჭა ორი მუნდიალის მომგები (1994 2002) და (1998) მეორეადგილოსანია. „ოთხი წლის წინ ყველაფერი კარგად იყო. რახან მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გავიმრჯვეთ, პრესამაც და გულშემატკივრებმაც ქებით ცამდე აგვიყვანეს... ახლა კი ისე გვესხმიან თავს, თითქოს მოღალატეები ვიყოთ“ — ამბობს ტორსიდის და მედიის შეტევით უკმაყოფილო ლუის ნასარიო და ლიმა.

სხვაგვარად ფიქრობს რონალდინიო: „მინდა, გუშლემატკივრებს მსოფლიოს პირველობაზე ჩემი ცუდი თამაშისთვის ბოდიში მოვუხადო. რაც იყო, იყო, ბრაზილია დამარცხდა, მაგრამ სამომავლოდ ეს აღარ უნდა განმეორდეს“ — თქვა ბარსელონელმა ვარსკვლავმა.

ლადო ხომერიკი

აბელ შავიერის ნათელი მომავალი

აბელ შავიერს დოპინგის გამოყენებისთვის მისჯილი 18-თვიანი დისკვალიფიკაცია 12-მდე შეუმცირეს. პორტუგალიელი მცველი „მიდლსბროში“ თამაშობდა და პირველი პრემიერლიგელია, რომელიც აკრძალული პრეპარატის მოხმარებისთვის დასაჯეს.

შავიერი გასულ ნოემბერში, უეფას თასზე „ქსანთისთან“ მატჩის შემდეგ ამხილეს — სისხლში დიანაბოლი უპოვეს.

დეკემბერში მან ვერდიქტი უეფაში გაასაჩივრა, მაგრამ ამაოდ, შემდეგ კი შვეიცარიაში, საარბიტრაჟო სასამართლოს მიადგა და მიაღწია იმას, რომ დისკვალიფიკაციის ვადა ექვსი თვით შეამცირებინა. „კმაყოფილი მაინც არ ვარ, რადგან ათი თვით ფეხბურთიდან მომწყვიტეს“ — განაცხადა გუშინ პორტუგალიელმა, რომელსაც სექტემბერში თამაშის უფლება ექნება. შავიერის თქმით, მან უკვე ნახა გუნდი და კონტრაქტიც გაფორმებულია, ოღონდ აღარ დაუკონკრეტებია.

შეგახსენებთ, რომ აბელ შავიერი „მიდლსბროში“ „რომადან“ გადავიდა, ბოროელებმა კი დოპინგსკანდალის შემდეგ, იანვარში, კონტრაქტი გაუწყვიტეს.

ვაჟა ხუციშვილი

საკუთარ წვენში მოხარშული დე როსი

გერმანია 2006-ს თვალყურს ვადევნებდით და მეტ-ნაკლებად ვიცით, საფეხბურთო სტადიონებზე რა ხდებოდა. ახლა გვინდა, სხვადასხვა ცნობილი ადამიანების გამონათქვამები შემოგთავაზოთ. მუნდიალი მუნდიალია, ზოგი კურიოზულს იტყვის, ზოგი სიბრძნეს, ჩვენ კი ვიხალისოთ.

„როცა მასთანაა, ბურთი იცინის, როცა ჩემთან ხვდება, ტირის“ — ასე უპასუხა პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელმა ლუშ ფელიპე სკოლარიმ ჟურნალისტებს, როდესაც ზიდანის შეფასება სთხოვეს.

„რომის პაპი გერმანელია, მაგრამ ღმერთი იტალიელი გამოდგა“ — თქვა იტალიელმა ჟურნალისტმა, „სკუადრა აძურას“ გერმანელებთან გამარჯვების შემდეგ.

„ცოლმა გერმანიის დროშა ყვავილის ქოთანშიც კი ჩაარჭო“ — გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა ქვეყანაში არსებული საერთო საფეხბურთო ეიფორია ასე შეაფასა.

„ეჭვიც არ მეპარება, ფინალამდე გავვარდებით“ — ამბობდა ბასტიან შვაინშტაიგერი შვედეთთან მერვედფინალური მატჩის წინ.

„დღეს პოლონელებმა ხუთი გოლი გაიტანეს — ორი ბოზაკკიმ, კოსტა რიკასთან, კლოზეს ორი და პოდოლსკის ერთი გოლი ეკვადორთან“ — მიხაილ ლისტკევიჩმა გერმანიის ნაკრების ვარსკვლავები, კლოზე და პოდოლსკი, მაინც პოლონელებად ჩათვალა. ლისტკევიჩი კი პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გახლავთ.

„ნება დავრთე, საკუთარივე წვენში მოხარშულიყო. შესანიშნავი ბიჭია, მაგრამ კომპიუტერული ჩიპი აქვს შესაცვლელი“ — იტალიის ნაკრების აწ უკვე ყოფილი მწვრთნელი მარჩელო ლიპი დანიელე დე როსიზე ამბობს. დე როსიმ აშშ-სთან წითელი ბარათი მიიღო.

„ბოლოს ასეთი თამაში სკოლაში მქონდა და 2:9 წავაგეთ. მოწინააღმდეგეები 5 წლით უფროსები იყვნენ“ — აღმოხდა ჩეხეთის ნაკრების მეკარეს განასთან 0:2 წაგების მერე.

„ხან კარგად ვთამაშობ, ხან ცუდად, მაგრამ ჩემი ცოლისთვის მაინც ყოველთვის სუპერმენად ვრჩები. ფეხბურთი რომ არ ესმის, ძალიან მომწონს“ — ამბობს შვეიცარიის მეკარე ცუბერბიულერი თავის მეუღლეზე.

„არგენტინის ნაკრების მაისურას რომ ვიცვამ, სულ სხვა ადამიანად ვიქცევი“ — ვინ თქვა ეს? ვინ და მარადონამ.

„ის მაისურებს უფრო კარგად ყიდის, ვიდრე მატჩებს იგებს“ — ტრინიდადის მწვრთნელის თანაშემწის აზრი გახლავთ დევიდ ბექემზე.

„თუ თამაშის მოგების წინასწარ მომზადებული გეგმა არ გაქვთ, მეტოქეზე მეტი გოლის გატანის ბედი მაინც უნდა გქონდეთ. მე კი შევიმუშავე გეგმა, მოწინააღმდეგისთვის მეტი გოლი როგორ უნდა გაგვეტანა“ — განუცხადა მედიას ავსტრალიელთა მწვრთნელმა ჰიდინკმა იაპონიასთან შეხვედრის დასასრულს.



ლუშ ფელიპე სკოლარი

„დიეგოს ყველაფერი შეუძლია. მე ვნახე იგი ფორთოხლით როგორ ჟონგლიორობს. ასევე შეუძლია, ის დაჭმუჭნული ქაღალდებიც კარგა ხანს კენწლოს, გულშემატკივრები ტრიბუნებიდან რომ ისვრიან“ — დავორ შუკერი მარადონას შესაძლებლობათა შესახებ.

„კი მაგრამ, აქ ფეხბურთელების საყვარლები კი არა, ცოლებიც ჩამოდიან“ — თქვა ჰოლანდიის ნაკრების თავკაცმა მარკო ვან ბასტენმა, როცა ჟურნალისტებმა მუნდიალზე ქალების ჩამოსვლაზე ჰკითხეს.

„ცხვირ-პირს დავუმტვრევ იმ დირექტორს, თავის ხელქვეითს სამსახურში დაგვიანების გამო რომ გააგდებს, აქაოდა, ავსტრალიის ნაკრების თამაშს გვიან ღამემდე უყურა და სამუშაოზე დროულად ვერ გამოცხადდაო“ — აცხადებდა ავსტრალიის ოპოზიციის ლიდერი კიმ ბიზლი.

„ამ კორეელებს ვერაფერს გაუგებ, ისე დარბიან, მგონი, უკანალში ეშმაკი ჰყავთ შემჯდარი. მერე, დასწყევლოს ღმერთმა, ყველა ერთმანეთს ჰგავს — შესვენებაზე 11 კაცი რომ გამოცვალო, ვერავინ ვერაფერს გაიგებს“ — ლუის არაგონესი, ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი.

ლადო ხომერიკი

გერმანულმა „მიონხენგლადბახმა“ დორტმუნდის „ბორუსიადან“ შვეიცარიელი მცველი ფილიპ დეგენი იყიდა. დეგენი „ბორუსიას“ „ბაზელიდან“ ოჯარით ჰყავდა წაყვანილი. გლადბახელებმა უკვე შეიძინეს მიხაელ დელურა „ჰანოვერიდან“. შეგახსენებთ, რომ „მიონხენგლადბახს“ იუპ ჰაინკესი წვრთნის.

ინგლისურმა „ფულემმა“ „ლეიტონის“ კონგოელი მცველი გაბრიელ ზაკუანი გადაიბირა. ფულემელთა მწვრთნელ კრის კოულმენს ზაკუანი შარშან, ასოციაციის თასის მატჩისას მოსწონებია, როცა „ლეიტონი“ ლონდონურ გუნდს ეთამაშა. ზაკუანის ტრანსფერი ერთი მილიონი გირვანქა დაჯდა.

იტალიური „მესინას“ მწვრთნელად ბრუნო ჯორდანო დანიშნეს და ერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს. მან ჯამპიერო ვენტურა შეცვალა, რომლის თავკაცობითაც „მესინა“ სერია B-ში ჩაქვეითდა.

რუსულმა „ზენიტმა“ ორი კორეელი — ჰო ლი და დონგ ჯინ კიმი შეიძინა. ფეხბურთელები ქომაგებს ოფიციალურად წარუდგინეს. ორივე კორეის ნაკრების მოთამაშეა და „ზენიტში“ დიკ ადვოკაატმა მიიყვანა.

მექსიკის ნაკრების და „გვადალახარას“ მცველი კარლოს სალსიდო პსვ-ში გადავიდა. სალსიდომ მსოფლიოს ჩემპიონატზე კარგად ითამაშა და ჰოლანდიურ კლუბს თავი მოაწონა. ფეხბურთელმა ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

გერმანულმა „ვერდერმა“ ბოხუმელი მეკარე კრისტიან ვანდერი შეიძინა, რომელიც ბრემენულ კლუბში ოჯარით იყო. 25 წლის ვანდერს ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად ტიმ ვიზესთან და ანდრეას რაინკესთან ბრძოლა მოუწევს.

ფრანგულმა „ტრუამ“ პორტუგალიური „ვიმარაეშიდან“ პოლონელი მარეკ საგნოვსკი გადაიბირა. 27 წლის ფეხბურთელმა გასულ სეზონში 12 გოლი გაიტანა, „ვიმარაეში“ კი უმაღლესი დივიზიონიდან გავარდა. საგანოვსკიმ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ესპანურმა „ლევანტემ“ პორტუგალიური „ბენფიკიდან“ ფრანგი ლორენ რობერი იყიდა. პსჟესა და „ნიუკასლის“ ყოფილმა ფეხბურთელმა შარშანდელი სეზონის ნახევარი „პორტსმუთში“, ნახევარი კი „ბენფიკაში“ გაატარა. რობერმა „ლევანტესთან“ ორწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი.

სლოვენიური „ნოვა გორიცას“ ნიჭიერი ფორვარდი ვალტერ ბირსა ფრანგულ „სოშოში“ გადავიდა. გასულ სეზონში მან 19 გოლი გაიტანა და ამით მიიპყრო ფრანგული კლუბის ყურადღება. ბირსა პსვ-საც უნდოდა, მაგრამ ფეხბურთელმა „სოშო“ არჩია.

რუსეთი

პრემიერლიგა. XI ტური

ცსკა 1:2 როსტოვი
0:1 დანცევი (15), 1:1 ფო (32პ), 1:2 გოგნიევი (62)

ლოკომოტივი 2:0 დინამო
1:0 ბილიალეტდინოვი (22), 2:0 ლოსკოვი (42პ)

ლოკომოტივი: პოლიაკოვი, კინგსტონი, სპაჰიჩი, ასპოლიანი, ივანოვიჩი, ევსეევი, გურენკო, ბილიალეტდინოვი (მამინოვი 60), ლოსკოვი, სიჩოვი (იზმაილოვი 76), ოკონორი (სენიკოვი 46)

ლუჩ-ენერგია 2:0 სატურნი
1:0 რ. აჯინჯალი (17), 2:0 ასტაფიევსი (22)

კრილია 6:1 ამკარი
1:0, 2:0 ტოპიჩი (3, 10), 2:1 კუშევი (30), 3:1 ლაგიევკა (40), 4:1 ტოპიჩი (45), 5:1 მედვედევი (75), 6:1 ვინოგრადოვი (78)

სპარტაკი (მ) 3:1 შინიკი
1:0 ტიტოვი (24), 2:0 პავლიუჩენკო (34), 2:1 შირკო (54), 3:1 ოვუსუ-აბეიე (80)

მოსკვა 0:0 ზენიტი

რუბინი 1:1 ტორპედო
0:1 შპენო (5), 1:1 ვასილევი (12),

სპარტაკი (ნ) 1:0 ტომი
1:0 ლანკო (52)

საინტერესო გამოდგა მოსკოვური დერბი „ლოკომოტივსა“ და „დინამოს“ შორის. განსაკუთრებით პირველი ტაიმი უნდა გამოვარჩიოთ, რომელშიც მთავარი ამბები მოხდა. მოგეხსენებათ, „დინამოს“ იური სიომინი თავკაცობს, ხოლო გუნდის კაპიტანი და მეკარე სერგეი ოვჩინიკოვია. ორივე მათგანი არცთუ დიდი ხნის წინ „რკინიგზელთა“ რიგებში იყო.

„ლოკომოტივი“ პირველი წუთებიდანვე მიეძალა მეტოქის საჯარიმოს და მომენტს მომენტზე ქმნიდა. გოლი კი მაშინ გავიდა, როცა კაცი იფიქრებდა, „დინამომ“ შტურმს გაუძლო და გონზე მოვიდაო. პირობითმა სტუმრებმა დინიარ ბილიალეტდინოვი უმეთვალყურეოდ დატოვეს და მანაც ოკონორის ჩაწოდებული ბურთი უპრობლემოდ გადაგზავნა კარში.

გაშვებულმა გოლმა „დინამო“ თითქოს გამოაფხიზლა და სიომინის შეგირდებმა რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს. ყველაზე მწვავე დერლეის დარტყმული იყო, რომელიც პოლიაკოვმა ფეხით მოიგერია, ხოლო დანის დარტყმულ ბურთს მალხაზ ასათიანმა გადაეფარა. მალევე „რკინიგზელებმა“ მეტოქე კონტრიერიშზე გამოიჭირეს, გურენკომ დინამოელს პასი ჩაუჭრა, ბურთი ბილიალეტდინოვს გადააწოდა, რომლის სახიფათო ჩაწოდებულიც ჟანმა ხელით შეაჩერა და პენალტი. ლოსკოვმა ცენტრში ზუსტად დაარტყა. ტაიმის მიწურულს ლარი კინგსტონმა ძალიან იუხეშა, მან ლეანდრო ფერნანდესს მუხლში ფეხი ჩაარტყა და გააძევეს, ხოლო არგენტინელი შესაცვლელი შეიქნა.

მეორე ნახევარში „დინამო“ ცდილობდა, რიცხობრივი უპირატესობა გამოეყენებინა, მაგრამ ბევრი არაფერი გამოუვიდა. „ლოკომოტივმა“ კი მესამე გოლი შეაგდო, მაგრამ მსაჯებმა, ოფსაიდი იყოო და არ ჩათვალეს.

იური სიომინი

ვლადივოსტოკში კი „ლუჩ-ენერგიამ“ ანალოგიური ანგარიშით და უფრო იოლად მოუგო „სატურნს“, რომელსაც ტრავმების გამო სამი წამყვანი მცველი აკლდა. ლუჩელებმა მატჩის ბედი პირველივე ტაიმში, ხუთწუთიან მონაკვეთში გადაწყვიტეს. ჯერ რუსლან აჯინჯალმა შეაგდო საჯარიმოდან, მერე კი ასტაფიევსმა მუხლით.

გიორგი კაკაბაძე

ცსკა	11	7	1	3	18:8	22
რუბინი	11	6	3	2	16:10	21
სპარტაკი ნ.	11	6	3	2	16:11	21
სპარტაკი მ.	11	5	5	1	22:13	20
ლოკომოტივი	11	5	3	3	21:15	18
კრილია	11	5	3	3	17:11	18
ტომი	11	5	2	4	10:10	17
მოსკვა	11	4	3	4	12:14	15
ლუჩ-ენერგია	11	4	2	5	14:14	14
ზენიტი	11	3	5	3	14:15	14
სატურნი	11	2	7	2	8:6	13
როსტოვი	11	3	3	5	12:14	12
ამკარი	11	2	4	5	7:18	10
ტორპედო	11	1	5	5	7:15	8
დინამო	11	1	4	6	6:12	7
შინიკი	11	1	3	7	5:19	6

ფერნანდესი მუხლში დაჭრეს

სარბიელი ⁄ კრიკეტი

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		სლოვაკეთი						
		15 ივლისი						
20:00	15	ბ.ბისტრიცა-ჟილინა	2.50	3.10	2.50	1.38	1.25	1.38
20:00	16	დუბნიცა-ინტერი	1.80	3.30	3.65	1.16	1.20	1.73
20:00	17	კოშიცე-პეტრუალკა	2.45	3.00	2.65	1.34	1.27	1.40
20:00	18	რუჟომბეროკი-ტრნავა	1.70	3.40	4.10	1.13	1.20	1.85
20:00	19	სლოვანი-ტრენჩინი	1.70	3.40	4.10	1.13	1.20	1.85
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		16 ივლისი						
20:00	22	რუსენბორგი-ფრედრიკსტადი	1.50	3.90	6.00	1.08	1.20	2.36
20:00	23	სანდეფიორდი-მოლდე	2.45	3.30	2.60	1.40	1.26	1.45
20:00	24	სტაბეკი-ჰამარი	1.95	3.30	3.55	1.22	1.25	1.71
22:00	25	ტრომსიო-ვოლერენგა	2.65	3.30	2.45	1.46	1.27	1.40
		17 ივლისი						
21:00	26	ბრანი-ვიკინგი	1.85	3.40	3.80	1.19	1.24	1.79
		შვედეთი. ალსვენსკა						
		15 ივლისი						
18:00	35	მალმიო-აიკ	1.75	3.40	4.00	1.15	1.21	1.83
		16 ივლისი						
19:00	36	იურგორდენი-ელფსბორგი	1.85	3.40	3.70	1.19	1.23	1.77
20:00	37	ჰალმსტადი-გიოტებორგი	2.35	3.30	2.75	1.37	1.26	1.50
		17 ივლისი						
21:00	38	ჰამარბი-იოსტერსი	1.35	4.30	7.00	1.02	1.13	2.66
22:00	39	ჰელსინგბორგი-ჰეკენი	1.55	3.70	5.50	1.09	1.20	2.21
		ფინეთი						
		13 ივლისი						
19:30	50	ვპს-იარო	2.00	3.10	3.30	1.21	1.24	1.59
		აშშ						
		14 ივლისი						
23:45	61	ნიუ ინგლენდი-სოლტ ლეიკი	1.55	3.50	5.00	1.07	1.18	2.05
		15 ივლისი						
23:45	62	ჩიკაგო-დალასი	2.25	3.00	2.80	1.28	1.24	1.44
23:45	63	ნიუ იორკი-კოლორადო	2.30	3.10	2.70	1.32	1.24	1.44
23:45	64	ვაშინგტონი-კოლამბუსი	1.45	3.60	6.00	1.03	1.16	2.25
23:45	65	კანზასი-ჰიუსტონი	2.35	3.10	2.70	1.33	1.25	1.44
23:45	66	ჩივასი-ლოს ანჯელესი	2.25	3.00	2.80	1.28	1.24	1.44
		ბრაზილია						
		13 ივლისი						
23:45	74	ფლამენგო-პარანა	1.90	3.20	3.40	1.19	1.21	1.64
23:45	75	პალმეირასი-ვასკუ და გამა	1.90	3.30	3.40	1.20	1.21	1.67
23:45	76	სანტა კრუსი-გოიასი	2.85	3.20	2.15	1.50	1.22	1.28
		უეფას თასი						
		13 ივლისი						
22:30	98	პორტადავნი-კაუნასი	3.60	3.40	1.80	1.74	1.20	1.17
22:30	99	რილი-სუდოვა	2.70	3.20	2.15	1.46	1.19	1.28

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:00	101	ჰელსინკი-დროგედა	1.40	3.80	5.50	1.02	1.11	2.24
22:45	102	ბრიონდბიუ-ვალური	1.11	5.80	14.00	1.00	1.02	4.10
21:00	103	გეფლე-ლანელი	1.16	5.50	9.50	1.00	1.03	3.48
20:00	104	ჟენესი-სკონტო	6.50	3.90	1.35	2.43	1.11	1.00
22:00	105	ატვიდაბერგი-ეტცელა	1.05	7.50	14.00	1.00	1.00	4.88
20:00	106	ვარტეკსი-ტირანა	1.30	4.30	7.00	1.00	1.09	2.66
19:30	107	დინამო ტირ.-ცსკა(ბულ)	3.90	3.40	1.65	1.81	1.15	1.11
22:00	108	კოპერი-ლიტექსი	2.50	3.20	2.30	1.40	1.19	1.33
19:00	110	ორასიე-დომჟალე	2.70	3.20	2.20	1.46	1.21	1.30
23:00	111	ჰიბერნიანსი-დინამო(ბუქ)	9.00	4.80	1.20	3.13	1.05	1.00
21:00	112	აპოელი ნ-მურატა	1.05	8.50	15.00	1.00	1.00	5.42
22:45	113	რიეკა-ომონია	1.35	4.20	6.50	1.02	1.11	2.55
21:30	115	რაპიდი(ბ)-სლიემა	1.02	9.00	17.00	1.00	1.00	5.88
21:00	116	უიპეშტი-ვადუცი	1.35	4.20	6.30	1.02	1.11	2.51
19:00	117	აშტარაკი-იანგ ბოიზი	4.80	3.80	1.45	2.12	1.11	1.04
22:00	118	ვიდეოტონი-კაირატი	1.25	4.60	7.50	1.00	1.07	2.85
21:00	119	ლინი-ფლორა	1.17	5.00	9.00	1.00	1.03	3.21
21:00	120	გიოტებორგი-დერი ს	1.30	4.50	6.70	1.00	1.08	2.69
19:00	121	კარვანი-ტრნავა	3.00	3.20	1.95	1.54	1.18	1.21
19:30	122	ზაგლებე-დინამო მინსკი	1.55	3.60	4.50	1.08	1.15	2.00
19:30	123	ვენტსპილსი-გოტა	1.12	6.00	12.00	1.00	1.02	4.00
19:30	124	ლევადია-ჰაკა	2.70	3.20	2.20	1.46	1.21	1.30
20:00	126	ბატე-ნისტრუ	1.40	3.70	6.50	1.01	1.15	2.35
21:00	127	ზიმბრუ-ყარაბახი	1.30	4.00	7.50	1.00	1.10	2.60
21:00	128	რანდერსი-აკრანესი	1.30	4.00	7.50	1.00	1.10	2.60
21:30	129	ლოკომოტივი სოფ-მაკედონია	1.30	4.50	7.50	1.00	1.10	2.81
22:00	130	ბაზელი-ტობოლი	1.04	8.00	15.00	1.00	1.00	5.21
22:00	131	სკალა-სტარტი	6.50	4.50	1.25	2.65	1.04	1.00
22:30	132	გლენტორანი-ბრანი	5.00	3.60	1.50	2.09	1.15	1.05

ჩოგბურთი.კაცები.ბაშტადი.თიხნარი

13 ივლისი

13:00	251	ხორნა-კოროლიოვი	1.60	2.00
13:00	263	ალმაგრო-კალერი	1.25	3.00
13:00	264	დ ფერერი-სოდერლინგი	1.45	2.40
13:00	265	რობრედო-ვასკე	1.15	3.70

ჩოგბურთი.კაცები.გშტაადი.თიხნარი

13 ივლისი

12:00	258	ვემიჩი-ჩილიჩი	1.55	2.10
12:00	259	გასკე-ვეკი	1.15	3.85
12:00	260	გაუდიო-კ როხუსი	1.20	3.00
12:00	261	მირნი-პაველი	1.65	2.00

ჩოგბურთი.კაცები.პოზნანი.თიხნარი

13 ივლისი

13:00	266	დევიდლერი-ი მინარი	1.20	3.50
13:00	267	ზიბი-ეშოერი	1.80	1.80
13:00	268	კიპოლა-ოუახაბი	1.55	2.20
13:00	269	ხაიეკი-ეიტზინგერი	1.25	3.10

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ

ფორმულა I საფრანგეთი.რბოლა. 14 ივლისი

13:00	1001	გამარჯვებული	რაიკონენი	6.50	13:00	1001	გამარჯვებული	ალონსო	1.70
13:00	1001	გამარჯვებული	ბილნევი	90.00	13:00	1001	გამარჯვებული	უებერი	70.00
13:00	1001	გამარჯვებული	კლიენი	90.00	13:00	1001	გამარჯვებული	მ შუმახერი	2.40
13:00	1001	გამარჯვებული	ლიუცი	90.00	13:00	1001	გამარჯვებული	ფიზიკელა	9.00
13:00	1001	გამარჯვებული	სატო	90.00	13:00	1001	გამარჯვებული	მონტოია	20.00
13:00	1001	გამარჯვებული	ალბერსი	90.00	13:00	1001	გამარჯვებული	ბატონი	40.00
13:00	1001	გამარჯვებული	მონტეირო	90.00	13:00	1001	გამარჯვებული	ბარიკელო	45.00
13:00	1001	გამარჯვებული	სპიდი	90.00	13:00	1001	გამარჯვებული	ტრული	60.00
13:00	1001	გამარჯვებული	მონტანი	90.00	13:00	1001	გამარჯვებული	რ შუმახერი	60.00
13:00	1001	გამარჯვებული	კულტხარდი	90.00	13:00	1001	გამარჯვებული	ხაიდფელდი	70.00
13:00	1001	გამარჯვებული	მასა	15.00	13:00	1001	გამარჯვებული	როსბერგი	80.00

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიხსნა კროკოს ახალი ბიუროები: თბილისი – მოსკოვის გამზირი №6; ზესტაფონი – აღმაშენებლის №39; გარდაბანი – აღმაშენებლის №12

CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
	ისანი -კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141	
	მოსკოვის გამზირი №6	
ქუთაისი	ცისფერყანწელთა ქუჩა №4	
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	ერეკლე მეორის-ის ქუჩა №6	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა № 21	
ოზურგეთი	იოანე პეტრიწის ქუჩა №3	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	თამარ მეფის №1	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №17-29	
ზესტაფონი	დავით აღმაშენებლის №39	
გარდაბანი	დავით აღმაშენებლის №12	

არც წერილი, არც სიხარული

მსროლელებს პასუხს ზაგრებში ეტყვიან

ფოტო: ფოტოგრაფიულ ფონდ

თითქმის ერთი თვეა, საქართველოს ტყვიის სროლის ეროვნულ ფედერაციაში ყოველდღე ელიან წერილს საერთაშორისო ფედერაციიდან. ქართველებს აპელაცია აქვთ გაგზავნილი, რომელშიც ოლიმპიურ ლიცენზიას და საკომპენსაციო თანხას ითხოვენ.

მიზეზს მოკლედ შეგახსენებთ: ივნისში მილანში ჩატარებულ მსოფლიოს თასზე ორგანიზატორებმა ქართველთა განაცხადი ვერ იპოვეს და ბრალი დასდეს, აქაოდა, საერთოდ არ წარმოგიდგენიათო. ცხადია, ჩვენებურები არც ტურნირზე დაუშვეს. მოგვიანებით განაცხადი იპოვეს და ცილისწამებისთვის ბოდიშიც მოიხადეს, მაგრამ შეჯიბრი უკვე სრულდებოდა და სასროლად გასვლა მარტო ნინო სალუქვაძემ მოასწრო.

„ტურნირი სალიცენზიო იყო და შეიძლება, რომელიმე ჩვენებურს ლიცენზია მოეპოვებინა. თან დიდი ხარჯები გავწიეთ და მილანში გაფართოებული შემადგენლობით ჩავედით. სრული უფლება გვაქვს, ლიცენზია და კომპენსაცია მოვითხოვოთ. მით უმეტეს, როცა შეცდომა თავად აღიარეს“ — განაცხადა სალუქვაძემ მილანიდან დაბრუნებისთანავე. აპელაციაც მალევე გაიგზავნა, მაგრამ პასუხი არა და არ ჩანს.

ნინო სალუქვაძეს კომენტარისთვის გუშინაც შევეხმიანეთ:

— სამწუხაროდ, ახალი არაფერია. როგორც ჩანს, უახლოეს ერთ კვირაში არ გამოგვიგზავნიან პასუხს. 21 ივლისიდან ზაგრებში მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება და სავარაუდოდ, ჩვენს აპელაციასაც იქვე განიხილავენ.

მსოფლიოს ჩემპიონატზე კი საქართველოს ნაკრები ცხრა სპორტსმენით მიემგზავრება. ქალთა გუნდში სალუქვაძე, ნინო უჩაძე და თამილა ასათიანი გამოვლენ. კაცებში — სერგი ჩიტაიშვილი, ლევან ქადაგიძე და ალექსი კუჭუხიძე, ხოლო გოგონებში — თათია უშვერიძე, თეონა იაშვილი და მეგი ქადაგიძე. ამ სამეულს უმაღლესი დონის ტურნირზე დებიუტი ექნება. ცხადია, შედეგს მათგან არავინ ელის. ოლიმპიური საგზურების გათამაშება 2007 წლის გაზაფხულიდან განახლდება და იქნებ რომელიმემ იქამდე იმხელა გამოცდილება დააგროვოს, გაისად პეკინში სროლის უფლებაც მოიპოვოს.

ლიცენზიები ხორვატიაშიც დარიგდება. სპორტული პისტოლეტით მსროლელები ოთხ საგზურს მიიღებენ, პნევმატურიდან — ხუთს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბევრ ძლიერ მსროლელს (მათ შორის სალუქვაძესაც) ჩინეთში წასვლა უკვე განაღდებული აქვს, სავსებით შესაძლებელია, მიზნის მისაღწევად მეათე-მეთხუთმეტე ადგილიც საკმარისი აღმოჩნდეს.

ოთარ მაღლაკელიძე



ეროვნული ბიბლიოთეკ

გუშინ დოლორესაზე ფოტო

დავით ილარიანი

იმედი ფინიშთან წაიქცა

გეტებორგში გასამართ მძლეოსანთა ევროპის ჩემპიონატამდე ბევრი აღარაფერი დარჩა. სპორტსმენები, რომლებსაც თავი ქუდში აქვთ, ანუ ვისთვისაც ამ ჩემპიონატში მონაწილეობისთვის დაწესებულ ნორმატივი პრობლემა რა არის, კონტინენტური პირველობისთვის გამალებულნი ემზადებიან, ისინი კი, ვინც მასში გამოსასვლელ საგზურს ახლოს უტრიალებენ, მათ დაუფლებას ცდილობენ. საქართველოს სპორტსმენთაგან ერთი-ერთი ასეთია 110 მეტრზე თარჯმორბენალი, ათენის ოლიმპიური თამაშების მონაწილე დავით ილარიანი.

დავით ილარიანი ჩვენი მძლეოსნებიდან ის იშვიათი გამონაკლისია, რომელიც უცხოეთში ემზადება. საქმე ისაა, რომ საქართველოში თარჯბენისთვის, პრაქტიკულად, არავითარი პირობები არ არსებობს. ამიტომაც საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციამ ილარიანი კიევში მიავლინა და იქ უკრაინელებთან ერთად ვარჯიშობს. ილარიანს ევროპის ჩემპიონატში გამოსასვლელად დაწესებული ნორმატივი უთუოდ ელექტრონულ წამზომზე უნდა დაეფიქსირებინა, რაც წლევანდელ სეზონში მას ვერ მოუხერხებია. ამიტომაც, როცა ისრაელის მძლეოსანთა მიმდინარეღია ჩემპიონატში მიიწვიეს, დავით ილარიანი იქ დიდი იმედებით გაეგზავრა.

თარჯმორბელნები სტარტზე გუშინ და გუშინწინ გამოვიდნენ. სამწუხაროდ, ილარიანმა ზედ ფინიშთან წაიფორხილა, დავარდა და დაშავდა. ბუნებრივია, ნორმატივი შეუსრულებელი დარჩა.

თუ რამდენად სერიოზულია მისი ტრავმა და გეტებორგის სტარტებამდე რა და როგორ იქნება, ეს ილარიანის დაბრუნების მერე გაირკვევა.

ავთანდილ ბუკიშელი

კოკაი ლიდერებს აედევნა

მონღოლმა ოძეკიმ რუსული გორები გადააგორა

ივლისის ბაშოს მეოთხე ტურში ქართველმა სუმოისტმა ლევან ცაგურიამ მესამე ქულა მოინაგრა. გუშინ კოკაიმ ექსსეკოვაკე ხოკუტორიკის მისალმება არ აცალა, ელვისებური შეტევით ხალიჩიდან გადააგდო და დადებითი ბალანსი გაიუმჯობესა. ჩვენებური კვლავ ლიდერთა მდევარ გუნდშია, ოღონდ გუშინდელისგან განსხვავებით, წაუგებელთა რიცხვი განახევრებულია.

იმპერატორის თასისკენ უდანაკარგოდ მიიწევენ იოკოძუნა ასასიორუ, ოძეკი ტიოტაიკაი, ოძეკი ტოჩიაძუმა და რიგითი მაეგაშირა ტოჩინოხანა. ასასიორუმ მაისის ბაშოზე ნატკენი მარჯვენა ხელით შეუსრულა ეფექტური გდება კოტოსიოგიკუს. ტიოტაიკაი გვარიანად ეწვალა ექსსეკოვაკე კიოკუტენხოს. ტოჩიაძუმამ და ტოჩინოხანამ კი მეტოქეები კაკიძოე და ტოიაძაკურა უპრობლემოდ მოისროლეს მაყურებლებში.

პირველად დაუცდა ფეხი სპეციალისტთგან მრავალგზის ნაქებ ესტონელ ბალტს. ეს 197-სანტიმეტრიანი დევკაცი ლიდერებს „თეთრმა რუსულმა მთამ“, ხაკუროზანმა ჩამოაცილა და კოკაის გვერდით დასვა. იქვეა გაიოკოძუნების მთავარი კანდიდატი, 21 წლის ხაკუხოცი. მონღოლი ოძეკი ორი დღეა, რუსების ნერვებზე თამაშობს. გუშინწინ ხაკუროზანს ხომ წაუხდინა ხასიათი, გუშინ მისი ღვიძლი ძმა როხოცი წააქცია.

მეხუთე ტური დღესაა და ალბათ ლიდერთა კვარტეტიც დაიშლება, კოკაი კი 26 წლის მონღოლ ტოკიტენკუს შეხვდება.

ოთარ მაღლაკელიძე

NBA მგზები

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციამ გამოაცხადა ახალი სახელფასო ფონდი, რომელიც 53,135 მილიონს შეადგენს. სწორედ ამ თანხის დახარჯვის ნება ეძლევათ კლუბებს 2006-07 სეზონში მოთამაშეთა ხელფასებზე. სახელფასო ფონდი ყოველწლიურად რამდენიმე მილიონით იზრდება.



ლებრონ ჯეიმსი „კლივლენდში“ 2010 წლამდე რჩება. წინასწარი შეთანხმებით 21 წლის სუპერვარსკვლავს და მის კლუბს 5-წლიანი და 80-მილიონიანი კონტრაქტი უნდა გაეფორმებინათ, რომელიც 2007 წლის ზაფხულში უნდა შესულიყო ძალაში და 2012 წლამდე დაბანდებდა ამ განუზომლად სარფიან ბიჭს მომცრო ქალაქის არცთუ მდიდარ გუნდში, თუმც საბოლოოდ 5-წლიანი ხელშეკრულება 3 წლამდე შეიკვეცა. მხარეებმა არ გაახმაურეს საკონტრაქტო თანხა, თუმც სავარაუდოდ ჯეიმსი ყოველ სეზონში მინიმუმ 15-მილიონიან ჯამაგირს აიღებს.

კოლორადოს შტატის პოლიციამ „დენვერის“ ვარსკვლავ კარმელო ენტონის მანქანაში მოსაწევად გამზადებული მარიხუანა აღმოაჩინა, თუმცაღა მანქანაში თავად კალათბურთელი კი არა ერთი მისი მეგობარი და რამდენიმე უცნობი ადამიანი იჯდა. ენტონის მეგობარს, მავან ტაილერ სმიტს და მის მეგობრებს ფულადი ჯარიმებით დასჯიან, რაც ამერიკაში 100 დოლარიდან ზევით განისაზღვრება.

თავისუფალ აგენტთა ბაზარზე შემორჩენილი ერთადერთი ხეირიანი მოთამაშე, „ტორონტოს“ გამთამაშებელი მაიკ ჯეიმსი „მინესოტაში“ გააგრძელებს კარიერას. გასულ სეზონში ჯეიმსი მატჩში საშუალოდ 20,3 ქულას და 5,8 პასს აკეთებდა და როგორც კი ძველ კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა, ნბა-ს გუნდების ნახევარზე მეტმა მასზე ნამდვილი ტაციაობა გამართეს. ბოლოს „მინესოტამ“ იყოჩაღა, რომელმაც აჯობა მთავარ კონკურენტ „ჰიუსტონს“ და ჯეიმსს 4-წლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

ლოზანურ-ლაზათიანი



AFP ლოზანიდან

ხავიერ კარტერი დიად მაიკლ ჯონსონს ჩაუდგა კვალში

მსოფლიო მძლეოსანთა ამქარს ჯერ არ ამოუწურავს რეკორდების მარაგი. უნიკალური შედეგები ყოველდღე და ყოველ ტურნირზე ვერ მყარდება, მაგრამ სადაც გაიელვებს, ყველგან გრძნობასა და ემოციათა შადრევანის ჩქეფა ახლავს.

ჩინელი თარჯმორბენალი ლიუ სიანისთვის, თუ სიან ლიუსთვის 11 ივლისი ალბათ უბედნიერესი დღე იყო ცხოვრებაში — ბავშვივით ხარობდა, დახტოდა და უნდოდა, თავისი სიხარული მთელი მსოფლიოსთვის გაეზიარებინა. ხტომა მისი ხელობაა, უფრო სწორედ, სირბილით ხტომა და გუშინ ლოზანას სუპერ გრან პრიზე ისე ირბინ-იხტუნავა, როგორც არავინ მანამდე. თარჯებით დამძიმებული 110 მეტრი 12,88 წამში გაიფრინა და სიხარულით მეცხრე ცაზეც აფრინდა. ძველი რეკორდი 12.91 წამი გახლდათ, რომელიც ასევე ლიუ სიანს ეკუთვნოდა, მხოლოდ ის „ავტორის უფლებებს" ბრიტანელ კოლინ ჯეკსონსაც უყოფდა, ახალი რეკორდი კი მხოლოდ მისია და სხვა არავისი, თუმცა არა, მთელი მსოფლიოსია.

„არც კი მჯერა, დიდებულია, ახდენილი ოცნებაა. ლოზანაში ადრე ახალგაზრდებშიც დავამყარე მსოფლიო რეკორდი, მადლობა ლოზანას. დღეს მე ისტორია შევქმენი! დავამტკიცე, რომ მსოფლიოში საუკეთესო ვარ!..." — ცოტა აბლანდულად უბნობდა ჩინელი. გავუგოთ, ის ხომ ჭკუაზე არ იყო.

13 ივლისს ჩინელი 23 წლისა შესრულდა და აი, ასეთი საჩუქარი უძღვნა საკუთარ თავსა და მთელს მილიარდნახევრიან მშობლიურ ერს, რომელიც თავის სპორტსმენთა წარმატებას ჭეშმარიტად კომუნისტური ენთუზიაზმით ხვდება და ზოგადსახალხო მიღწევად აღიქვამს.

წლეულს მძლეოსნებს არც ოლიმპიადა აქვთ და არც მსოფლიოს ჩემპიონატი, ამდენად მეორე თანრიგის ტურნირებით ატარებენ სეზონს. ევროპის ჩემპიონატი, ოქროს ლიგის 6 ეტაპი, რამდენიმე გრან პრი და მომცრო ტურნირები, აი აქ ეჯიბრებიან ისინი ერთმანეთს. ცალსახად ითქმის, რომ ლოზანას სუპერ გრან პრი (რიგით 31-ე) წლევანდელი შეჯიბრებებიდან ყველაზე ლაზათიანი და გემრიელი გამოვიდა. შვეიცარიული ზაფხულის ამ არცთუ ცხელ საღამოს, მშვიდი ტაროსის ხელშეწყობით და ბეჯითად შევსებული ტრიბუნების მწყობრი ტაშის თანხლებით მძლეოსნებმა მართლაც ლამაზი სანახობა მოაწყვეს.

თუნდ ისევ 110 მეტრ თარჯრბენს დავუბრუნდეთ. აქ მხოლოდ ლიუ სიანმა როდი იყოჩაღა, მეორე ადგილზე გასულმა ამერიკელმა დომინიკ არნოლდმაც გადასარევი შედეგი აჩვენა — 12,90 წამი და ძველ მსოფლიო რეკორდს მანაც ჩამოაჭრა დროის უმცირესი ნაწილაკი — 0,01 წამი.

ნამდვილი „დაკა-დაკა" გაიმართა 200 მეტრზე კაცთა სპრინტშიც. მართალია, მსოფლიო რეკორდს, 19,32 წამს აქ ვერავინ მიეახლა — 1996 წლის ატლანტის ოლიმპიადაზე რომ დაამყარა ლეგენდარულმა მაიკლ ჯონსონმა — მაგრამ ერთბაშად 4 სპრინტერი ჩამოსცდა 20-წამიან გროსმაისტერულ ნიშნულს და ესაა უნიკალური შედეგი. 20 წლის ამერიკელმა ქსავიე კარტერმა 200 მეტრი 19,63 წამში გაირბინა და მსოფლიოს ყველა დროის მეორე შედეგი აჩვენა ჯონსონის იმ უნიკალური მიღწევის შემდეგ — სუბ-რეკორდი, ასე ვთქვათ. არადა, კარტერი მანამდე არასდროს ჩამოსცილებია 20 წამს, მაგრამ ახალგაზრდაა და ამიერიდან ალბათ კიდევ ბევრჯერ მოახერხებს.

კარტერს ზურგში მიჰყვნენ ტოსონ გრეი (19,70 წამი), უსაინ ბოლტი (19,88) და უოლეს სპერმონი (19,90). არადა, აქამდე სეზონის საუკეთესო დრო 19,90 წამი გახლდათ. მოკლედ, ჯადოსნური გარბენი იყო.

ჭოკის დახმარებით 4,90 მეტრს გადაევლო რუსი მფრინავი გოგონა ელენა ისინბაევა და სეზონის რეკორდიც მთელი 14 სანტიმეტრით გაუუმჯობესა. ისინბაევა შარშან რომ იყო, ისეთ ფორმაში ვერაა, თავისივე მსოფლიო რეკორდს, 5,01 მეტრს ახლოსაც ვერ ეკარება, მაგრამ მაინც ყველას ერთი ჭოკით აღემატება.

სეზონის რეკორდი დაფიქსირდა ქალთა 100 მეტრ თარჯრბენშიც. მსოფლიოს ჩემპიონმა მიშელ პერიმ 100 მეტრში აღობილ წინაღობებს 12,43 წამში გადაულივლივა. სეზონის რეკორდებია ქალებში 800 მეტრზე კენიელი ჯანეტ ჯეპკოსგეის 1 წუთი და 56,6, წამიც და რუსი სამხტომელი ტატიანა ლებედევას 15,19 მეტრიც.

ჩაუქობენ ეს ორი წელი მიზეზთა გამო სარბიელს ჩამოშორებული ძველი ვარსკვლავები მერიონ ჯონსი და კრისტიან ოლსონი. ჯონსმა 100-მეტრიანი სპინტი კვლავ 11 წამზე ნაკლები დროით მოიგო (10,94), ოლსონმა კი ტრავმის დაძლევის შემდეგ ზედიზედ მეხუთე ტურნირში იმარჯვა, თან კვლავ ოლად მოისამხტომა 17 მეტრი — ფეხის 3 დარტყმით 17,62 მეტრს იქით დაეშვა და სულ ახლახან მშობლიურ შვედეთში გამომცხვარი პირადი რეკორდი 3 სანტიმეტრით გაზარდა.

კოტე ყორღია



AFP ლოზანიდან

110 მეტრზე თარჯრბენის ფინიში: სიან ლიუმ (მარჯვნივ) მცირედით აჯობა დომინიკ არნოლდს (მარცხნივ)

93-ე ტურ დე ფრანსი
2006, 1-23 ივლისი

AFP ბოდან

სირილ დესელი და ხუან მიგელ მერკადო ბასკი ქომაგების ალყაში

პირველი მთები და ორნი პოში

აჰა, „ტურ დე ფრანსის" ქარავანმა პირენეის მწვერვალებამდეც მიაღწია და პირველივე სამთო ეტაპმა გვარიანად შეცვალა რბოლის სურათი. არადა, მე-10 ეტაპი მთლად სამთოც არ იყო, რადგანაც ბოლო მწვერვალიდან ფინიშამდე კიდევ 54 კილომეტრი იყო და არც იმას ვარაუდობდა ვინმე, ფავორიტთა შორის დიფერენციაცია მოხდებაო.

არც მოხდარა — ისინი, ვინც მე-9 ეტაპის შემდეგ საერთო ჩათვლაში იყვნენ წინ, კვლავაც ერთად არიან, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ლიდერის ყვითელი მაისურა, უკვე სხვას, არა უკრაინელ სერგეი გონჩარს, არამედ 31 წლის ფრანგ სირილ დესელს აკვია.

დესელი, ესპანელი ხუან მიგელ მერკადო და კიდევ რამდენიმე მრბოლი, რომელთა შორისაც გამოსარჩევნი ბასკური გუნდის — „ეუსკალტელის" წევრები ინიგო ლანდალუზი და ინაკი ისასი იყვნენ, პირველივე აღმართში მოწყდნენ პელეტონს და წინ გავარდნენ. ლანდალუზი და ისასი იმიტომ გამოვყავით, რომ რბოლა გასკონიაში, საფრანგეთის ბასკეთის ტერიტორიაზე იყო და ტემპერამენტიანი მთიელი ბასკები მოუთმენლად ელოდნენ რომელიმე თავისიანის გამარჯვებას.

არ გამოვიდა — წლევანდელი „ტურის" პირველივე სერიოზულ აღმართზე, რომელიც უმაღლესი კატეგორიის სირთულისა იყო, დესელი და მერკადო დანარჩენებს გაექცნენ და პირველნი ავიდნენ სოუდეს 1540 მეტრიან მწვერვალზე. მართალია, დაშვებისას მოწინავე ჯგუფი ისევ გაერთიანდა, მაგრამ წინ მეორე, პირველი კატეგორიის მთა მარი-ბლანკე იყო და დესელისა და მერკადოს დუეტი ისევ წინ გავარდა. ამ დროისთვის ძირითადი ჯგუფის გაქცეულებთან ჩამორჩენამ 11 წუთს უწია და პელეტონიც, მთლად იდეალურად ვერა, მაგრამ ამუშავდა. ქარავანს გერმანული T-მობაილის წევრები ჩაუდგნენ თავში. გონჩარი, რომელიც ასევე T-მობაილის მრბოლია. პირველი მწვერვალის მისადგომებთან, ლამის უიმედოდ ჩამორჩა, მაგრამ მერე უკრაინელმა ძალა მოიკრიბა, ველოქარავნის სათავეში მყოფ თანაგუნდელებს შეუერთდა და ეგ კი არა, მერე, უკვე ბარისკენ, თითქმის 20 კილომეტრი, მთლად პელეტონის კენწეროში გაატარა.

ამასობაში დესელმა და მერკადომ კონკურენტები საბოლოოდ ჩამოიცილეს და მარი-ბლანკედან დაშვებულებმა ფინიშისკენ, ქალაქ პოსკენ გაქუსლეს. ერთი ეგ იყო — ამ დუეტში, თუ მთებში უფრო ესპანელი აქტიურობდა, მერე, რომ გაივაკეს, სულ ფრანგი იყო წინ და თავის თანამგზავრს სვლას უიოლებდა. თანაც, ისინი მუდმივად რაღაც არკვევდნენ ერთმანეთში, მაგრამ საბოლოოდ, როგორც ჩანს, მაინც ვერ გაარკვიეს, რადგანაც, უკვე პოს ქუჩებში, ტაქტიკურ ბრძოლაზე გადავიდნენ და ამის გამო ტემპი ცოტა დააგდეს. ამიტომაც და იმის გამოც, რომ პელეტონმა მოუმატა, დესელისა და მერკადოს უპირატესობა ბოლო კილომეტრებზე თითქმის ორი წუთით შემცირდა, თუმცა ესეც საკმარისი აღმოჩნდა, რომ საერთო ჩათვლაში სწორედ ისინი დაწინაურებულიყვნენ.

ეტაპი კი მერკადომ მოიგო და ფრანგი თანამგზავრი ორიოდე სანტიმეტრით ჩამოიტოვა უკან. სამაგიეროდ, ყვითელი მაისურა ფრანგს ერგო და ეს უკანასკნელი კარგი გვარიანი უპირატესობითაც ლიდერობს. თუმც მაინც ძნელი წარმოსადგენია, მოწინავეობა დიდხანს შეინარჩუნოს. უკვე დღეს, ურთულესი სამთო ეტაპია, ერთბაშად ხუთი ულეტეხილითა და კლასიკური სამთო ფინიშით და აქ კი, ალბათ, ფავორიტებიც გამოაჩენენ კლანჭებს.

გია მუჯირი

მეათე ეტაპი, კამბო ლეს ბაიანსი — პო. 202 კმ

1. ხუან მიგელ მერკადო (ესპანეთი, აგრიტული)	4სთ. 49წთ. 10წმ.
2. სირილ დესელი (საფრანგეთი, AG2R)	იგივე დრო
3. ინიგო ლანდალუზი (ესპანეთი, ეუსკალტელი)	+56წმ.
4. კრისტიან მორენი (იტალია, კოფიდისი)	+2წთ. 24წმ.
5. კრისტოფ რინერო (საფრანგეთი, სონი დიუვალი)	+2წთ. 25წმ.

საერთო ჩათვლა

1. სირილ დესელი (საფრანგეთი, AG2R)	43სთ. 7წთ. 5წმ.
2. ხუან მიგელ მერკადო (ესპანეთი, აგრიტული)	+2წთ. 34წმ.
3. სერგეი გონჩარი (უკრაინა, T-მობაილი)	+3წთ. 45წმ.
4. კრისტიან მორენი (იტალია, კოფადისი)	+3წთ. 51წმ.
5. ფლოიდ ლენდისი (აშშ, ფონაკი)	+4წთ. 45წმ.

ტყუპისცალმა ტაბუ ახსნა

გასახდელი: კრიკეტი და გიჟი ფედერერი

კორტზე ნამდვილი ომი მიმდინარეობს ხოლმე. დაძაბულობა, ნერვები, ფსიქოლოგიური ზეწოლა და დიდი ემოციები — ყველაფერი ეს თამაშის ნაწილია, მაგრამ საინტერესოა, თუ რა ხდება გასახდელში, თამაშამდე და თამაშის შემდეგ. ეს ლამის ტაბუდადებული თემაა და ამაზე იშვიათად ვინმემ ისაუბროს, განსაკუთრებით ჩოგბურთელებმა. გასახდელში მომხადარის შესახებ მხოლოდ რჩეულებმა უწყიან.

თუმც ამ თემაზე ღიად ილაპარაკა წყვილებში უიმბლდონის აწუკვე ორგზის ჩემპიონმა, თავის ტყუპისცალთან მოთამაშე ბობ ბრაიანმა, რომელმაც ნაწილობრივ მაინც ახადა ფარდა გასახდელებში მიმდინარე მოვლენებს.

არა, მაინც როგორ წარმოგიდგენიათ ჩოგბურთელები გასახდელში? ალბათ, ფიქრობთ, რომ იქ სრული სიწყნარეა, ყველა სერიოზული სახით ზის, თავის ფიქრებში არიან ჩაფლულნი, არ საუბრობენ, კორტზე გასვლას ელოდებიან და კონცეტრირებას ცდილობენ?

ნურას უკაცრავად. *ბობ ბრაიანი* სრულიად საპირისპიროს ყვება:

„საერთოდ, მომავალი ოპონენტები ერთმანეთს ნაკლებად ელაპარაკებიან, მაგრამ სხვა ნებისმიერ შემთხვევაში გასახდელი ერთ საძმოს ჰგავს, სადაც ყველა მოდუნებასა და მომავალი თუ გასრულებული მატჩის დავიწყებას ლამობს. განსაკუთრებით სასაცილო კი ის არის, როცა ზოგიერთი მიდის სავარაუდო მეტოქესთან და მის გაცინებასა და მოთაფვლას ცდილობს, იქნებ ჩემს წინააღმდეგ უფრო კეთილგანწყობილი გავიდეს კორტზეო“.

ისე, ბრაიანი ამას ისეთი დარწმუნებით ამბობს, რომ თვითონაც არაერთხელ უნდა მოეთაფლოს მეტოქე.

არადა, კაც ჩოგბურთელთა გასახდელში მომხდარ მოვლენებზე ლეგენდები დადის. მაგალითისთვის, ტიმ ჰენმანი ყვება, რომ ერთხელ, უიმბლდონზე, ტრადიციული ლონდონური წვიმის წყალობით, მასა და პატრიკ რაფტერს რამდენჯერმე მოუწიათ გასახდელში ჩაბრუნება. ერთხელაც წვიმა დიდხანს გაგრძელებულა და თავი როგორმე რომ გაერთოთ, ორივე პატივცემულ ჩოგბურთელს იქვე მყოფი სტიუარდები თუ სხვა მომსახურე პერსონალი, სულ 15 კაცი, აუყოლებიათ და კრიკეტის თამაშიც დაუწყიათ. რაფტერი და ჰენმანი ისეთ ეშხში შესულან, რომ ნახევარფინალი სულ დავიწყებიათ და ტურნირის ორგანიზატორებს პირადად მოუწიათ გასახდელში ჩასვლა და ჩოგბურთელების გაფრთხილება — წვიმამ გადაიღო, შეგიძლიათ, კორტზე დაბრუნდეთო.

აი, თურმე ეგეთებიც ხდებოდა. მართლა, ამ კრიკეტის თამაშ-თამაშში ჰენმანს, რაფტერსა და მათ ამფსონებს გასახდელი კარგად მიუნგრევიათ. ეგ კი არა, ჭერიც კი კი დაუმსხვრევიათ. ნეტავ, ეგ როგორღა მოახერხეს?

ბრაიანი კი ამბობს, რომ გასახდელში შეიძლება ზოგიერთი ჩოგბურთელი ვერც კი იცნოთ, იქ იმდენად განსხვავებულად იქცევიან.

„კორტზე მოქცევის მიხედვით ყველა ფიქრობს, რომ როჯერ ფედერერი ძალიან სერიოზული და ჭკუადამჯდარი პიროვნებაა — ყველა ბრაიანი — მაგრამ თქვენ ის გასახდელში უნდა ნახოთ. განსაკუთრებით მოგებული თამაშის შემდეგ — ფილტვების დაგლეჯამდე ყვირის და ყველას ეხუმრება. მოკლედ, გასახდელში როჯერი ყველაზე გიჟია“.

ბრაიანს ენდი როდიკიც კვერს უკრავს:

„როცა ერთად ვხვდებით გასახდელში, ყოველთვის კარგ დროს ვატარებთ ხოლმე. ის ძალიან ბევრს მაცინებს. ერთხელ იმდენი მახარხარა, რომ წავბორძიკდი და შემთხვევით მას დავეჯახე. იქიდან მოყოლებული სულ იმას მეუბნება, ჩემი ტრავმირება გინდოდაო და ახლა შორიდან “მესვრის“ თავის ხუმრობებს“.

თუმც ყველა არ არის ასეთი მხიარული.

„რაფაელ ნადალი კი გასახდელშიც ზუტად ისეთივეა, როგორიც კორტზე. თუ თამაში ელის, მასთან დალაპარაკებაც კი შეუძლებელია, პასუხს არ გაგცემს. ის აქ ისეთივე ინტენსიურია, როგორც კორტზე — ვარჯიშს ფაქტობრივად გასახდელში იწყებს, პატარა კროსებს აკეთებს, წინ და უკან დარბის და ასე შემდეგ. ისე, ხანდახან ძალიან სასაცილო დასანახია“ — ამჯერად ნადალის შესახებ საუბრობს ბრაიანი.

თავისი ისტორიები არც ქალთა გასახდელებს აკლიათ. მაგალითად, ერთხელ მონიკა სელეშმა კორტზე დაიგვიანა მარტინა ნავრატილოვას ჩიახუახუას გამო. თურმე როგორც კი სელეში ჩოგნის ხელში აღებას ცდილობდა, ერთგული ძაღლი ყეფას იწყებდა და მონიკას აფროთხობდა — ეგონა პატრონს რაღაცას პარავდნენ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

AFP

გასახდელში არა, მაგრამ კორტზე ბობ ბრაიანი მშვენივრად ღლაბუცობს ვინუს უილიამსთან შერეულ წყვილში

ხშირად კი გასახდელი ის ადგილია, სადაც ჩოგბურთელები ერთმანეთის უკეთ გაცნობასა და ჭორაობას ახერხებენ. ათიოდე დღის წინ ჩინელი ნა ლი ყვებოდა, რომ მეოთხედფინალურ მატჩამდე მშვენივრად ისაუბრა კიმ კლაისტერსთან.

„ბევრი ვილაპარაკეთ სხვადასხვა თემებზე. ხომ იცით, მაინც ქალები ვართ, ლაპარაკი გვიყვარს და საჭორაო არასოდეს გამოგველევა“ — თქვა ლიმ.

რას იზამ, ჩოგბურთელებიც ადამიანები არიან და მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება კორტზე დიდი ომი გადახდეთ ერთამნეთთან, გასახდელში მაინც შეუძლიათ თავიანთი დაპირისპირების დავიწყება, ოდნავ მოშვება და გართობაც კი.

ქახა ლომაშვილი

ენდი მიურეი

ბრაზილიელი და ბალახი?!

კაცები
ნიუპორტი. აშშ. ბალახი
საპრიზო 355 000 $

პირველი წრე

ენდი მიურეი (1, ბრიტანეთი) — რიკარდო მელო (ბრაზილია) 6:1 1:6 7:6; **სემ ქუერეი** (აშშ) — დანაი უდომჩოკე (ტაილანდი) 6:4 6:3; **ქრისტიან პლეისი** (დანია) — მაიკლ რასელი (აშშ) 7:6 (უარი); **უეინ არტურსი** (ავსტრალია) — კენეტ კარლსენი (დანია) 7:6 7:6; **ჯასტინ გიმელსტობი** (8, აშშ) — ვესლი ვაიტჰაუსი (სამხრეთ აფრიკა) 4:6 6:3 6:4; **მარდი ფიში** (7, აშშ) — სირილ სოლნიე (საფრნგეთი) 6:3 6:1; **ტიაგო ალვეში** (ბრაზილია) — ტომაშ ბერენდი (გერმანია) 6:4 6:4; **მარკ ფილიპუსისი** (ავსტრალია) — პოლ გოლდსტინი (3, აშშ) 6:4, 6:2; **ფრანკ დანსევიჩი** (კანადა) — კევინ კიმი (აშშ) 6:4 6:3; **გეორგ ბასტლი** (შვეიცარია) — ივო კარლოვიჩი (2, ხორვატია) 6:7 4:6 4:2 *(უარი)*

კაცები
ბასტადი. შვედეთი. თიხნარი
საპრიზო 323 250 €

პირველი წრე

იური შუკინი (რუსეთი) — ივო მინარი (ჩეხეთი) 2:6 6:2 6:3; **ნიკოლას მასუ** (ჩილე) — მარიანო ზაბალეტა (არგენტინა) 6:4 3:1 *(უარი)*; **ხოსე აკასუსო** (არგენტინა) — გილერმო კორია (7, არგენტინა) 2:6 6:2 7:5; **ნიკოლას ალმაგრო** (ესპანეთი) — ტომაშ ბერდიხი (3, ჩეხეთი) 6:2 7:6; **დავიდ ფერერი** (5, ესპანეთი) — მუჰამედ ალ ღარეები (ქუვეითი) 6:4 6:4; **ლუკაშ დლუჰი** (ჩეხეთი) — ანდრეას ვინჩიგუერა (იტალია) 6:3 6:2; **იარკო ნიემინენი** (4, ფინეთი) — ხუან-იგნასიო ჩელა (არგენტინა) 6:4 5:7 6:1; **ლუის ჰორნა** (პერუ) — ტომას იოჰანსონი (6, შვედეთი) 6:4 6:2; **ევგენი კოროლიოვი** (რუსეთი) — ფლორენ სერა (საფრანგეთი) 6:3 3:6 6:4

კაცები
გშტაადი. შვეიცარია. თიხნარი
საპრიზო 421 250 €

პირველი წრე

დუშან ვეგიჩი (სერბეთი) — პოლ-ანრი მატიო (4, საფრანგეთი) 3:6 7:5 7:6; **მარიან ჩილიჩი** (ხორვატია) — ანდრეას სეპი (იტალია) 1:3 7:6; **ანდრეი პაველი** (რუმინეთი) — სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) 6:4 1:6 7:6; **მაძს მირნი** (8, ბელორუსია) — კარლოს ბერლოკი (არგენტინა) 6:3 7:5; **ირჟი ნოვაკი** (ჩეხეთი) — კარლოს მოია (5, ესპანეთი) 6:3 6:2; **ფილიპ კოლშრაიბერი** (გერმანია) — ალესანდრო დი მაურო (იტალია) 6:3 6:1; **როგინ ვიკი** (ჩეხეთი) — რომან კუტაცი (ჩეხეთი) 6:2 6:1; **ბასტონ გაუდიო** (2, არგენტინა) — მარკოს დანიელი (ბრაზილია) 7:6 6:2

ნამეტანი უიღბლო გამოდგა ფავორიტებისთვის პირველივე წრე. როგორც ჩანს, სლემტურნირების მოვლის შემდეგ ბობოლებმა ამ პატარ-პატარა შეჯიბრებებს გული ვეღარ დაუდეს და შედეგიც სახეზეა.

გუშინ ნიუპორტში მომხდარი მოულოდნელობებით დავიწყეთ და დღესაც იმით გავაგრძელებთ — როდ-აილენდს გამოეთხოვა ყველა საბალახო ტურნირზე უმთავრეს ფავორიტთა შორის მოხსენიებული, მაგრამ თითქმის ყოველთვის ადრეულ ეტაპებზევე წამგები ივო კარლოვიჩი. გიგანტი ხორვატი ძალიან მაგრად კი აწოდებს, მაგრამ მარტო ამით ფონს ვეღარ გადის. აგერ, ძალიან საშუალო დონის შვეიცარიელ გეორგ ბატსლთანაც კი ვერაფერი გააწყო.

კარლოვიჩს კინაღამ ტურნირის პირველი ნომერი ენდი მიურეიც მიჰყვა. 19 წლის შოტლანდიელი 5 მატჩ-პოიტს გადაურჩა და წვალებით მოუგო რიკარდო მელოს.

„ასეთ თამაშს არ ველოდი ბრაზილიელისგან — როდის იყო, ესენი ბალახზე ასე კარგად ჩოგნაობდნენ. თან პირველი სეტი 20 წუთში მოვიგე და მეგონა, ყველაფერი მალე მორჩება-მეთქი. მაგრამ ეს ვინ ყოფილა, წაგებას ძლივს გადავურჩი“ — გაოგნებული იყო მიურეი ნამატჩევს.

შვეიცარიულ გშტაადში კი პირველივე წრეში წააგეს მეოთხე ნომერმა პოლ-ანრი მატიომ და მეხუთემ — კარლოს მოიამ. პირველმა ჩვენებური ირაკლი ლაბაძის მეწყვილესთან სერბ დუშან ვემიჩთან დაყარა ფარ-ხმალი, ესპანელი კი მისნაირმა ვეტერანმა, ჩოგბურთიდან ერთი პირობა წასულმა ირჟი ნოვაკმა დაამარცხა.

ორთვიანი შესვენების შემდეგ უიღბლო დაბრუნება გამოუვიდა ვილერმო კორიას. ერთ დროს თიხნარის უდიდესი სპეციალისტი ბოლოხანს ძალიან სუსტად თამაშობს, რისი დასტურიც თანამემამულე ხოსე აკასუსოსთან ბასტადურმა წაგებაც გახლავთ.

წაგებულ ფავორიტთა სია ტომაშ ბერდიხმაც დაამშვენა. თუმც მისი წაგება ნიკოლას ალმაგროსთან არცთუ გასაოცარია — ჩეხი ბასტადში მესამე ნომერი კი იყო, მაგრამ ალმაგრო თიხნარზე გაცილებით უკეთ ირჯება და ამიტომაც ბერდიხის წაგება სადღაც კანონზმოიერიცაა.

ქახა ლომაშვილი

ჩიხლაძე ავსტრიაში ავსტრიელით იწყებს

ქართველი ჩოგბურთელი ლადო ჩიხლაძე, რომელმაც ATP-ის ბოლო რეიტინგში არნახული პროგრესი განიცადა, ერთბაშად 113 საფეხურით წაინაცვლა წინ და 484-ე პოზიციაზე აღზევდა, ამ დღეებში ავსტრიული კრამშახის თიხაზე ITF-ის ეგიდით მიმდინარე ტურნირში მონაწილეობს. პირველი მეტოქედ მე-5 ნომრად განთესილ ლადოს კლასიფიკაციის 785-ე ნომერი, 20 წლის ავსტრიელი ფილიპ ოსვალდი ერგო. თუ ამ ბარიერს დაძლევს, მეორე წრეში ჩიხლაძე ან მეორე ავსტრიელს მარტინ ფიშერს შეხვდება, ანაც გერმანელ მარკ მიგელს.

დიდი მიგრაცია
მცველებმა ხეირი ნახეს

ამიერიდან კრის პრონგერი ანაჰაიმელ ქომაგებს დაურიგებს ავტოგრაფებს



ძალიან აქტიური მიმოსვლა გაჩაღდა ნჰლ-ში. ასეთი რამ შარშანაც კი არ მომხდარა, როცა ლიგა ყირაზე იდგა. ნჰლ-ის კლუბთა გენერალურ მენეჯერებს კი ძალიან ცხელი ზაფხული აქვთ — ხუმრობა ხომ არ არის, იმის მაგივრად, რომ შემადგენლობის გაძლიერებაზე იფიქრონ, არსებულის შენარჩუნებაზე ზრუნვა უწევთ.

ყველაზე დიდი აქტიურობა კი მცველთა ბაზარზე შეინიშნა. ელიტარულ უკანახაზელთა ასეთი მიგრაცია ნჰლ-ს თითქმის არ ახსოვს. თუმც სანამ უშუალოდ გაცვლა-გამოცვლებზე ვილაპარაკებთ, ერთი რამ უნდა აღვნიშნოთ.

ორიოდე კვირის წინ ჰოკეის გამოემშვიდობა უეინ გრეცკისა და მარიო ლემიეს პლეადის უკანასკნელი მოჰიკანი, „დეტროიტის" ლეგენდარული კაპიტანი სტივ აიზერმანი. 41 წლის სტივმა კიდევ ერთ დამღლელ სეზონს ციგურების კედელზე ჩამოკიდება არჩია.

აიზერმანმა მთელი კარიერა (22 წელი) ერთ კლუბში — „დეტროიტ რედ უინგზში" გაატარა, აქედან 19 წელი გუნდის კაპიტანი იყო, ეს კი ნჰლ-ის რეკორდია. გარდა ამისა, აიზერმანმა 1514 ნჰლ-ურ მატჩში 692 გოლი გაიტანა, 1063 საგოლე პასი გააკეთა და 1755 ქულით ლიგის ბომბარდირთა სიაში მეექვსე პოზიცია უჭირავს. აიზერმანი სამგზის სტანლის თასის მფლობელი და 2002 წლის სოლტ-ლეიკ სიტის ოლიმპიადის ოქროსმედალოსანია.

დეტროიტითვე გავაგრძელოთ — „წითელ ფრთებს" კაპიტნის დაკარგვა ვერ მოენელებინათ, გუნდი მეორე ლიდერმა, ბრენდან შენაჰანმაც რომ დატოვა. მან „ნიუ იორკ რეინჯერსს" მიაშურა. „დეტროიტში" მენი ლეგასის გაშვების შემდეგ პირველი მეკარის პოზიციაც ვაკანტურია. ერთი ეგაა, რომ გუნდმა გასული სეზონის საუკეთესო მცველად აღიარებული ნიკლას ლიდსტრიომი შეინარჩუნა.

სამაგიეროდ, სხვა მცველებმა შეიცვალეს ადგილსამყოფელი. ლიგის ყველაზე მაღალმა ჰოკეისტმა (206 სმ) ზდენო ხარამ „ოტავადან" „ბოსტონს" მიაშურა, „ბრუინსმა" კი სლოვაკი მცველის გარდა წინა სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრფორვარდი, მარკ სავარიც დაიმატა.

„მძლავრი იხვებიდან" მხოლოდ „იხვებად" გადაქცევის შემდეგ კი ანაჰაიმმა, ალბათ, ლიგის უძლიერესი დაცვითი ტანდემი შექმნა — შარშან გადმოყვანილ სკოტ ნიდერმაიერს კრის პრონგერი ამოუყენა გვერდით.

პრონგერის სანაცვლოდ კი მისმა ყოფილმა გუნდმა „ედმონტონმა" ახალგაზრდა ცენტრი ჯოფრი ლუპული და დრაფტის სამი არჩევანი მიიღო. „მენავთობეებმა" დაცვის კიდევ ერთი საყრდენი ბოძი, იაროსლავ შპაჩეკიც ვერ შეინარჩუნეს, რომელიც „ბაფალოში" წავიდა. ედმონტონმა უკანა ხაზში შექმნილი სიცარიელის ამოსავსებად დანიელ ჩარნკვისტი კი აიყვანა, მაგრამ საეჭვოა, ამ შვედმა პრონგერის ან შპაჩეკის შეცვლა მოახერხოს.

მეკარის პრობლემა მოაგვარა ვანკუვერმა — გაცვლის შედეგად ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გოლკიპერი რობერტო ლუონგო მიიღო, სამაგიეროდ, „ფლორიდას" ტოდ ბერტუცი მისცა. თუმც „კენექსმა" წამყვანი მცველები — ედ ჟოვანოვსკი (ფინიქსში წავიდა) და ნოლან ბაუმგარტნერი (ფილადელფიაში გადავიდა) დაკარგა და ახლა ფაქტობრივად მხოლოდ მატიას ოლუნდის იმედზეა.

ტამპამ პაველ კუბინა „ტორონტოში" გაუშვა, თუმც მას მალე მოუძებნა შემცვლელი, ასევე ჩეხი ფილიპ კუბას სახით.

„ოტავამ" საბოლოოდ განაცხადა უარი დომინიკ ჰაშეკის მომსახურებაზე — ჯერ რეი ემერის გაუფორმა კონტრაქტი, შემდეგ კი კაროლინადან შვეიცარელი მარტინ გერბერი წამოიყვანა. ლეგენდარულ „დომინატორს", ალბათ, ჰოკეიდან წასვლა მოუწევს — საეჭვოა, 41 წლის და ქრონიკული ტრავმების მქონე ჩეხს ვინმემ კონტრაქტი გაუფორმოს.

საკმაოდ გაძლიერდა „მინესოტა", რომლებმაც მცველები — კიტ კარნი და კიმ იუნსონი აიყვანეს თავისუფალი აგენტების ბაზრიდან, გაცვლის შედეგად კი ლოს ანჟელესიდან პავოლ დემიტრა მიიღეს, თუმც „ველურებისთვის" ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ გუნდის ლიდერი მარიან გაბორიკის დატოვება შეძლეს.

ერთ-ერთი ფავორიტის რანგში მოგვეევლინება დამდეგ სეზონში „კალგარი ფლეიმსი". გუნდმა კაპიტან და ლიდერ ჯერომ იგინლას კარგი პასის მქონე ალექს ტანგეი ამოუყენა და გამოცდილი ჯეფ ფრიზენიც დაიმატა.

„კოლორადომ" კი ტანგეის გარდა წამყვანი მცველი რობ ბლეიკიც დაკარგა, რომელმაც დენვერში დარჩენას ლოს ანჯელესში დაბრუნება არჩია.

უჩვეულოდ პასიურია ლიგის ერთეული ყველაზე გაქნილი მენეჯერი, „ნიუ ჯერსის" ბოსი ლუ ლამორელო. თუმც მან აქცენტი შემადგენლობის შენარჩუნებაზე გადაიტანა და გუნდში ორი ლიდერი — ჩეხი პატრიკ ელიაში და ჯეიმი ლანგერბრიუნერი დატოვა.

კახა ლომაჯვილი



ნიკლას ლინდსტრიომი „დეტროიტში" დარჩა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუან პაბლო მონტოია:
ყველაფრის თავიდან დაწყება მინდა

ფორმულა 1 ნამდვილი არ ყოფილა

კოლუმბიელი მეფორმულის ხუან-პაბლო მონტოიას გადასვლამ „ნასკარში" დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. ეს ხომ პირველი შემთხვევაა, როცა „სამეფო რბოლების" პოლოტი ამ ზეპოპულარულ ამერიკულ სერიაში მიდის.

თავიდან გაცხადებული იყო, რომ 30 წლის „კოლუმბიელი ქარიშხალი" მიმდინარე სეზონის გასრულების შემდეგ დატოვებდა „მაკლარენს" და მერე მიუჯდებოდა ჩიპ გენასის ბოლიდის საჭეს, მაგრამ მონტიმ და „მაკის" ბოსმა რონ დენისმა საქმე აღარ გააჯანჯლეს და უკვე დაშორდნენ ერთმანეთს. ასე რომ, კვირას საფრანგეთის დიდი პრიზისთვის „მაკლარენ-მერსედესით" ხუანის ნაცვლად გუნდის სათადარიგო მძღოლი, ესპანელი პედრო დე ლა როსა იჯირითებს.

გთავაზობთ უკვე ექსმეფორმულე მონტოიას ინტერვიუს

— ბევრმა გიუად ჩამთვალა, როცა ფორმულა 1-დან „ნასკარში" ჩემი გადასვლის ამბავი გაიგო, მაგრამ ყველაფერი პირიქითაა — ჩემს კარიერაში ყველაზე სერიოზული გამოწვევა მივიღე და, დარწმუნებული ვარ, ცხოვრება უფრო საინტერესო გახდება. ცხადია, ეს მართლაც რთული გადასვლაა ამოუცნობ ჩემპიონატში — 36 რბოლა, რომელთაგან ყოველ მათგანში ერთნაირი ალბათობით შეიძლება, ფინიშთან პირველიც იყო და ბოლოც. „ნასკარში" ბევრი ნიჭიერი მრბოლია და მოუთმენლად ველი ამ დიდი ოჯახის წევრად გახდომას.

ზოგი თვლის, რომ მაშინვე დავიწყებ მოგებას, მაგრამ ვერ წარმოუდგენიათ, ეს რაოდენ ძნელია. შემოთავაზების მიღების შემდეგ ბოლო რბოლას ვუყურე და ექსტაზში ჩავვარდი — ეს ბიჭები რაღაც დაუჯერებელს სჩადიან. ჩიპმა მითხრა: „თქვენ მიიღებთ იმას, რაც გჭირდებათ" და მაშინვე მივიღე გადაწყვეტილება. მინდა, ბევრი რამ ვისწავლო და, დარწმუნებული ვარ, რომ სწორად ვიქცევი.

— ფორმულა 1-ში კარიერის გაგრძელების ვარიანტები არ გქონიათ?

— მქონდა რამდენიმე წინადადება, მაგრამ ახალი გამოწვევის მიღება ვამჯობინე. ზოგჯერ გინდა, ყველაფერი თავიდან დაიწყო, თავი ახალბედად იგრძნო. ოდესღაც უკვე მიმუშავია ჩიპ გენასისთან და ჩვენ დიდი წარმატებისთვისაც მიგვიღწევია.

— რა იცით „ნასკარის" შესახებ?

— დიდი ხანია, ამ ჩემპიონატს ვაკვირდები და ჩიპთან მოლაპარაკებამდე არაერთხელ მიფიქრია შესაძლო გადასვლაზე. მე მიყვარს ნამდვილი რბოლები, იქ კი ნამდვილი, მჭიდრო, საინტერესო ბრძოლაა — და ეს ყველაფერს ხსნის. ამერიკაში საინტერესო რბოლებისთვის დავბრუნდი.

— რატომ დატოვეთ ფორმულა-1? ხელფასი შეგიმცირეს?

— საბანკო ანგარიში ვერ გაგახარებს, თუ სხვა ყველაფრით უკმაყოფილო ხარ. როცა ჩიპს ვუთხარი, რომ ნამდვილ რბოლებში დაბრუნება მსურს და უკეთეს ადგილს ვერც ვიპოვი-მეთქი, არ დამიჯერა და მამაჩემს ჰკითხა რჩევა. მან კი განაცხადა, რომ ჩემს სიმართლეში ასე დარწმუნებული არასოდეს ვენახე. საქმე მილიონებში არაა, ბოლო სამი წელი ხეირიანად ვერ წამივიდა საქმე და რაიმეს შეცვლა იყო საჭირო.

— „ნასკარში" რა მიზნებს ისახავთ?

— მინდა, ვიმუშაო ჩიპთან, მინდა, სამუშაოსგან სიამოვნება მივიღო. რბოლები ჩემი ცხოვრების არსია.

— თქვენი გულშემატკივრები „ნასკარში" გადმოვლენ?

— ზოგიერთს, ალბათ, დავკარგავ, ზოგს კი შევიძენ. ალბათ, სპონსორებთანაც ასე იქნება. მე კოლუმბიიდან ვარ, იქამდე კი სულ სამიოდე საათის საფრენია მიამიდან, სადაც ამჟამად ვცხოვრობ. იმედია, ჩემი გადასვლა სამხრეთ ამერიკაში ნასკარისადმი ინტერესს გაზრდის, რითაც, ალბათ, ყველა მოგებული დარჩება.

— ახალ სერიაში რომ ვერ გაგიმართლოთ?

— არ გამიკვირდება, იქ ძლიერი მრბოლები გამოდიან და ეს სრულიად სხვა ჩემპიონატია. ბევრი რამის სწავლა მომიწევს. კონტრაქტი მრავალწლიანია, რადგანაც ადაპტაციისთვის დრო მჭირდება. რა თქმა უნდა, გამარჯვებებზე ვოცნებობ, თუმც ვიცი, რომ ეს ადვილი არ იქნება.

ისევ ისინბაევა

ლოზანაში, მძლეოსნობის დიდი პრიზის შეკრებაზე, კვლავაც ვარსკვლავად იყო რუსი ჭოკით მხტომელი ელენა ისინბაევა. მან კვლავაც ოქრო მოიგო და მრავალრიცხოვან ქომაგებსაც ნაჯაფარი ხელის ქნევით მიესალმა.



AFP ლოზანიდან

AFP ნიუიორკიდან

საკალენდრო ტრიატლონი

ნიუ იორკის ტრიატლონის რიგით მეექვსე ტურნირი უკვე დაიწყო: იქ მონაწილე სპორტსმენი გოგონები საკალენდრო საქმეშიც ჩაბმულან და სარეკლამო ფოტოზე თავიანთი თვეებით ფეხდამშვენებულნი აღბეჭდილან.

ევროპული ბრძოლა

საბჭოს (ვბკ) სუპერსაშუალო წონის ქამარი ახლა გერმანელ (მარცხნივ) მარკუს ბაიერს უპყრია, მის მოცილედ კი დანიელი მიკელ კესლერია, რომელსაც, თავის მხრივ, ასოციაციის (ვბა) ქამარი უპყრია. ასე რომ, ტიტულთა გამაერთიანებელი ბრძოლა გამოდის. შეყრის დღე 14 ოქტომბერია, კოპენჰაგენის ცნობილი „პარკენი“.



AFP კოპენჰაგენიდან

კლონი

AFP

ამ ცხენს ი-ტი ჯინი ჰქვია და ფოტო 1998 წელს რომში გონებადაქვეითებულ ადამიანთა მსოფლიო თამაშებზეა გადაღებული. მაშინ ი-ტი ჯინმა და მისმა მხედარმა, ავსტრიელმა უგო სიმონმა ჩემპიონობა მოიპოვეს. ახლა კი სააგენტოები იუწყებიან, რომ ტეხასში ი-ტი ჯინის კლონი გამოუყვანიათ.

AFP ლოზანიდან

ხმიბართა შეჯიბრი

ლოზანაშივე, მძლეოსანთა დიდი პრიზის შეჯიბრზე, ერთმანეთს ხეიბრებიც ერკინებიან. კაცთა შეჯიბრში, 1500 მეტრის სიგრძეზე რომაა გაჭიმული, შვეიცარიელმა მარსელ ჰაგმა (მარცხნივ) იმარჯვა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხოჭორიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: ვია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge